პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტეინის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისა თვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 76 მდივნის № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე 2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისთვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ— 10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—43.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

117 ხუთშაბათი, 25 მაისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 25 მაისი 1922 წ. № 117

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 5

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული შეფარდებული იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დღესთან—თებერვლის 25 თან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ცენტრ. აღმ. კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. მაისის 23.
თბილისი, სასახლე.

საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული

26 მაისი თუ 25 თებერვალი,—წამოიჭრა ასეთი საკითხი, და ჩვენი უმაღლესი მთავრობაც ადგენს: „სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული შეფარდებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობის დღესთან—თებერვლის 25-თან“.

ეს ორი დატა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების დაუპირდაპირდა ერთი მეორეს და ჩვენ უყოყმანოდ, სრული შეგნებით და პასუხისმგებლობით უპირატესობა 25 თებერვალს მივაკუთნეთ.

ყოველი დღესასწაული გამომხატველია ამა თუ იმ შინაარსის, განსაზღვრულ იდეის, და ჩვენ უნდა განვმარტოთ ეს ნაბიჯი, რათა ყველამ იცოდეს, მოყვარემაც და მტერმაც, ყველამ, ვისაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია,—თუ რა შინაარსის მატარებელია 25 თებერვალი.

სწორედ ოთხი წლის წინედ ჩვენში მაშინ გაბატონებულმა მენშევიკებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ეს ის დრო იყო, როცა პროლეტარულმა რევოლიუციამ გაიმარჯვა რუსეთში, როცა მუშათა კლასმა ხელთ იგდო ძალა-უფლება, დაამხო ბურჟუაზია-მემამულეთა მთავრობა, როცა პროლეტარიატი სამკვდრო სასიცოცხლო ომში ჩაება ძველ, დახავსებულ მსოფლიოსთან, ხოლო მეორე მხრივ შეუდგა ცხოვრების ძირითად გარდაქმნას ახალ, სოციალისტურ საფუძველზე.

როგორც ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს, ქართველ მენშევიკებსაც უნდა გამოერკვიათ თავისი დამოკიდებულება ამ დიად ისტორიულ მოვლენისადმი. რევოლიუცია და სოციალიზმი, თუ კონტრ რევოლიუცია და ბურჟუაზიული წყობილება,—ასე ნათლად და მარტივად დადგა დილემა მათ წინაშე; აქ რაიმე მესამე და ბუნდოვანი პოზიცია შეუძლებელი იყო, და მენშევიკებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღაბი, უარყვეს გზა რევოლიუციის და მუშათა კლასის აშკარა მტრების ბანაკში მოიქცნენ.

რა თქმა უნდა, ეს მეტამორფოზა მათში ერთბაშად არ მოხდარა. მენშევიკების მოღალატეობას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. პირველი რევოლიუციიდან დაწყებული, ისინი თანდათან შორდებოდნენ პროლეტარიატს და ბურჟუაზიას უახლოვდებოდნენ. მათი ლიკვიდატორობა, ლეგალობა, პარლამენტარიზმი, „ოპორტუნიზმი“ დიდი ხნის ცნობილი ამბავია. მხოლოდ მეორე რევოლიუციის დროს, როცა ყოველი მომქმედი სოციალური ძალა უკიდურესად გაშიშვლდა, მენშევიკებს ამ ევოლიუციამ დასრულებული სახე მიიღო. მათ რევოლიუციას აშკარად შეაქციეს ზურგი და ბურჟუაზიულ რეჟიმის გამაგრება მოიწადინეს.

მაგრამ ამ შავი საქმის განხორციელება შეუძლებელი გახდა რუსეთში: რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა იქ ისინი ალაგმა და თავის სამფლობელოდან გააძევა.

და აი, ქართველი მენშევიკები შეეცადნენ საქართველოს ფარგლებში გამაგრებას. აქ მაშინ, მთელი რიგ ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ჯერ კიდევ ძლიერი იყო მათი გავლენა, ჯერ კიდევ დიდი იყო მუშათა მასსებში ოპორტუნისტული სულიერი განწყობილება. მეორე მხრით, დამხობილი თვითმპყრობელობის მიერ შელახულ ქართველი ხალხის ეროვნული გრძნობით, გასწიეს სპეკულიაცია და მოაჩვენეს მათ თავი ნაციონალურ ინტერესების დამცველებად. და რევოლიუციისაგან თავის გადასარჩენად, პარტიულ ჰეგემონიის შესანარჩუნებლად და პირადი ეგოიზმის დასაკმაყოფილებლად, მათ გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა. რევოლიუციის წინააღმდეგ მათ აღმართეს ნაციონალურ სახელმწიფოებრიობის კედლები, რომლის შიგნით შეუდგნენ „მუშაობას“..

თუ რა ხასიათისა იყო ეს მუშაობა, ეს ნათლად დაგვანახა მათმა სამი წლის განუკითხავმა ბატონობამ საქართველოში.

მათ მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი კაპიტალის მონობაში დასტოვეს, გულმოდგინედ მოკიდეს რა ხელი ჩვეულებრივი ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას. ეს ამავე დროს ნიშნავდა მჭიდრო კავშირს მსოფლიო კონტრ-რევოლიუციასთან და მისი პოზიციის გაძლიერებას: საერთაშორისო კაპიტალიზმა და რეაქციამ ჩვენი ქვეყანა, მენშევიკების დახმარებით, გახადა საექსპლოატაციო ახალშენად და დასაყრდენომ ბაზად რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

თვით ნაციონალური დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რომლის სახელით მოქმედებდნენ მენშევიკები, ფრიად მოჩვენებითი, ეფემერული იყო. აქ ბატონობდა არა საქართველოს მშრომელი ხალხის სახელმწიფოებრივი ნებისყოფა, არამედ სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტური ოკუპანტები—ოსმალები, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები და სხვები განაგებდნენ ფაქტიურად და არსებითად ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალს. ჩვენს პრესაში სხვადასხვა დროს საკმაო მასალა იყო გამოქვეყნებული, თუ როგორ ერეოდნენ ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში დასავლეთის იმპერიალიზმის წარმომადგენელნი, თუ როგორ უმართავდა ხელს მენშევიკური მთავრობა მათ კონტრ რევოლიუციონურ მიზნების განხორციელებაში.

ასეთი იყო მენშევიკების დამოუკიდებლობა. ეს იყო დამოუკიდებლობა რევოლიუციისაგან და სრული დამოკიდებულება კონტრ-რევოლიუციისაგან; თავის შინაური და საერთაშორისო შინაარსით ეს იყო მშრომელ მასსების დამონება ადგილობრივ და უცხოელ ბურჟუაზიის მიერ.

რა თქმა უნდა, საქართველოს მშრომელი ხალხი ასეთ მდგომარეობას ხანგრძლივად ვერ შეურიგდებოდა. იგი გამუდმებით იბრძოდა ჭეშმარიტი თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამას ადასტურებს მთელი რიგი მასიური აჯანყებები მშრომელი ხალხის, რომელსაც მენშევიკური ხელისუფლება ცეცხლით და მახვილით უსწორდებოდა.

მაგრამ მაინც ვერ შესძლეს ამ ჯალათებმა ხალხის რევოლიუციონური სულის ჩახშობა. და აი, დაბოლოს ამ ხალხმა მოიშორა მენშევიკების მონობის უღელი, საბჭოთა წყობილება დაამყარა და ნამდვილი თავისუფლება მოიპოვა. საქართველო ისევ დაუკავშირდა რევოლიუციას და საბჭოთა რესპუბლიკებს. ამით მან უზრუნველყო თავის სოციალურ განთავისუფლების საქმეც და ეროვნული უფლებებიც.

ამ დიდ საქმეს საფუძველი ჩაეყარა გასული წლის 25 თებერვალს, როცა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ერთი წლის შემდეგ ა. წ. 25 თებერვალს შეიკრიბა სრულიად საქართველოს მშრომელთა ყრილობა, საბჭოთა ყრილობა, რომელმაც ფორმალურად ჩამოაყალიბა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება და საერთაშორისო მდგომარეობა. მშრომელთა სრული ბატონობა და ჩვენი ქვეყნის ძმური კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებთან ასეთია ამ ყრილობის ავტორიტეტიული სიტყვა.

ჭეშმარიტად დიადია ეს დღე, 25 თებერვალი, როგორც საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების დღე ყოველგვარ სოციალურ და ეროვნულ მონობისა და ჩაგვრისაგან.

და განა შეუძლია ვინმეს თქვას, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი დღეს არ არის თავისუფალი, თავის ბედის თვითონ გამომჭედი?—არავის, გარდა ხალხის აშკარა მტრებისა, რომელთაც დამოუკიდებლობა ისე ესმით, როგორც საშუალება თავის ბატონობის აღდგენის და მშრომელ მასსების ისევ დამონების. ასეთ საშუალებას წარმოადგენდა მენშევიკების 26 მაისის დამოუკიდებლობა. ჩვენ კი მის მაგივრად გვაქვს 25 თებერვალი, და მას კიდეც ყოველთვის დიდი ზეიმით ვიდღესასწაულებთ.

კიდევ ნატურგადასახადის შესახებ

ჩვენ კვლავ გვსურს მივაქციოთ დაინტერესებულთა ყურადღება ნატურ გადასახადის საკითხს და უფრო სპეციალურად საქართვ. საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომის დამატებითი დადგენილების № 6 გამო, რომელსაც რამოდენიმე შესწორება შეაქვს ჩვენი გაზეთის მე 107 ნომერში გამოქვეყნებულ დადგენილებაში ამავე საკითხის შესახებ.

თავის დროზე ჩვენ აღვნიშნეთ უკვე უმთავრესი მომენტი ახალი დადგენილების, რომელიც დაედება საფუძვლად სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დეკრეტს: რამოდენიმე პროდუქტის მაგიერ ერთიანი გადასახადი, კონკრეტულათ სიმინდისა და ხორბლის სახით; გარკვეულ დრომდე—მაისის 15-ისა და ივნისის პირველამდე—შეუკრებელი გადასახადის ჩარიცხვა ნარჩენში და გადასახადის შემსუბუქება ულარიბესი გლეხების, სტიქიური უბედურებისაგან (მოუსავლიბა) დაზარალებული და ნამდვილ სამსახურში მყოფ წითელ არმიელების მეურნეობათათვის.

ჩვენ არ გამოვუდგებით აქ დღემდი არსებულ ნატურგადასახადის სისტემის ერთიანათ შეცვლის უპირატესობის ახსნა-განმარტებას. ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი მკითხველთან. 1 წლის გამოცდილებამ საკმაო მასალა დააგროვა მისი მიზანშეუწონლობისა და უხერხულობის შესახებ. ერთიანი ნატურგადასახადი შესამჩნევათ ამარტივებს გაწერისა და აკრების საქმეს და უფრო შესაფერისია ჩვენი სოფლის გადამხდელების ფსიქოლოგიისათვის, რაც ვერ ურიგდებოდა გადასახადის მრავალ და, თუ. შეიძლება ასე ითქვას, წვრილმან სახეობას. დღეს ეს ანომალია გამოსწორებულია. ამიერიდან გადასახადი გამოანგარიშებული იქნება სიმინდისა და ხორბლის სახით. დამატება № 6 ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გადასადი შეიძლება შეტანილი იქნას სასოფლო მეურნეობის ძირითადი პროდუქტებით და, თუ ასეთი იქნება გადამხდელის სურვილი, ფულის ეკვივალენტითაც, რომელსაც სახალხო სასურსათო კომისარიატი დაადგენს. ამ დამატებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ის, რასაკვირველია, არ სცვლის საზოგადოთ **ნატურალურ** ხასიათს გადასახადისას. რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშს უწევს და აკმაყოფილებს სურვილს ჩვენი სოფლის მეურნეობისას, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მოწადინებული არიან ამ სახით მოიხსნან სახელმწიფოს მიმართ თავისი მოვალეობა.

თუ ნატურ გადასახადმა, იმ სახით, როგორც ის ტარდებოდა ცხოვრებაში წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში, გამოააშკარავა ზოგიერთ ნაწილში, უხერხულობა და მიზანშეუწონლობა, თუ მან ადგილი მისცა ზოგან გაუგებრობას და გამოცდილებამ აუცილებელი გახადა იქ არსებითი თუმცა—არა პრინციპიალური—შესწორების შეტანა, ეჭვს გარეშეა ახალი დადგენილება ცენტრალური აღმასკომის თერთმეტი მაისის თარიღით და დამატებითი დადგენილება № 6 საბოლოოდ აქარწყლებს ძველ ანომალიას და მით მთელი გადასახადის საქმესაც უკვე გარკვეულ კალაპოტში აქცევს, სოფლის მეურნის მუშაობის ნორმალურ მიმდინარეობას უზრუნველ ჰყოფს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალი დადგენილებანი მთავრობის სრულ დაკმაყოფილებას მისცემს გადამხდელებს და გაუადვილებს მათ ვალდებულების მოხდას მშრომელთა სახელმწიფოს მიმართ.

ისინი ემზადებიან

მენშევიკებმა ისევ მოკიდეს ხელი თავის მთავარ იარაღს ბოლშევიკების წინააღმდეგ, იარაღს, რომელშიაც მოსჩანს მთელი მათი უძლური ბოროტება, სიცრუე და ცილისწამება.

საზღვარ გარეთელ პრესაში გამოქვეყნებულია მოწოდება, ხელმოწერილი: „საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ჟორდანიას“ და „დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ჩხეიძის“ მიერ, მთავრობის მიერ, რომლისათვის სწორედ რომ ზედგამოჭრილია თანამედროვე თქმულება: „ვაგონში დირექტორია, ვაგონ ქვეშ კი ტერიტორია“.

ამ მოწოდებაში ჩამოთვლილია ყველა დანაშაულობანი კომუნისტების, რომლებმაც ეს კეთილშობილი მმართველები მიიყვანეს „ასეთ ცხოვრებამდე“.

„ბოლშევიკებმა დაითხოვს საქართველოში საბჭოები, რომელნიც, ჟორდანიას მტკიცებით, რევოლიუციის პირველ დღეებიდან, არჩეულნი თავისუფლად ყველა პოლიტიკური პარტიების მონაწილეობით და დემოკრატიის პრინციპებისადმი ერთგულნი, იდგნენ საქართველოს დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და, უარყვეს რა ბოლშევიზმი და ანარქია, მტკიცედ იცავდნენ მუშების და გლეხების ინტერესებს. დამპყრობელებმა დაითხოვეს ეს საბჭოები“.

ასეთია მენშევიკების სიმართლე.

18 წელში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მენშევიკებმა გაატარეს დადგენილება საბჭოების მიერ ძალა უფლების გადაცემის შესახებ ეროვნულ საბჭოსადმი, რომელიც შედგებოდა მენშევიკების, ფედერალისტების და ნაციონალ დემოკრატებისაგან. ამ დადგენილებას ასაბუთებდნენ ქვეყანაში ორ ხელისუფლებიანობის მოსპობის და, კლასობრივის მაგივრად, ერთიან ნაციონალურ ხელისუფლების შექმნის აუცილებლობით. მოისპო რა ფაქტიურად საბჭოები, ბრძენი ნოე წინასწარ ხედავდა, რომ შეიძლება დადგეს მომენტი, როცა სასარგებლო იქნება მათი გამოყენება და ამიტომ წინადადება შემოიტანა დატოვებული ყოფილიყვნენ ისინი, „ყოველ შემთხვევისათვის“ და სასაცილო საბჭოები, რომელნიც არ მოქმედებდნენ, ერთხელაც არ ყოფილან ხელმეორედ არჩეულნი, დასრესილი, როგორც ნეფტალინით მოყრილი ბებიას ძველი ქურქი, ამოაძვრენდნენ განსაკუთრებულ საზეიმო დღეებში, ანდა როცა რევოლიუციის წითელი ალის ენები აგრძნობდა და გაანათებდა მენშევიკურ ოაზისის წყვდიადს.

ასე იყო გერმანიის რევოლიუციის დროს, დენიკინზე წითელი არმიის გამარჯვების დროს. ასეთ მომენტებში ახსენდებოდათ ამ მამაც ბრძენებს დაჟანგებული კლასობრივი იარაღი, რომელიც ინახებოდა ცხვირზე, გამოაძრობდენ მას სინათლეზე, აჩხარუნებდნენ მას და წარმოსთქვამდნენ უბადრუკ სიტყვებს კლასობრივ სოლიდარობასა და ერთობაზე

გამოატყვრინეს მათ ეს მუმია უკანასკნელად საზღვარ გარეთის სოციალისტურ დელეგაციის წინაშე მაგრამ თვით მათ მიერ უზომოდ მოლოლიავებულმა კაუცკიმ, რომელიც სვამდა ჩაის მათ ან ძღვნად მიღებულ ვერცხლის სამოვრიდან (რომანოვების გვარეულობის მემკვიდრეობა), აღიარა რომ, ეს საბჭოები. „არ სარგებლობენ გავლენით და მნიშვნელობით.“

და მას შემდეგ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მენშევიკებმა დაივიწყეს რა საბჭოები, მიანებეს შეიძლება საბოლოოდაც, მათ შესახებ ფიქრს თავი. მაგრამ არა. დღესდღეობით, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ნოე ჟორდანია ამტკიცებდა, რომ ეს არ არის ნამდვილი საბჭოები, ხოლო ასეთები კი იყო მენშევიკური საბჭოები, რომელნიც მედგრად იცავდენ მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

„არცერთი ქართველი მუშა, გლეხი და ჯარისკაცი არ არის მათ საბჭოების პრეზიდიუმში, პათეტიურად აცხადებენ ჟორდანია და ჩხეიძე—ყველა ესენი არჩეულნი არიან მოსკოვის ჯარებისაგან, მოხელეებისაგან და უცხოელებისაგან; ყველა მისი წევრები არიან მოსკოვის დაქირავებული აგენტები“.

ასე ბუზღუნებენ ეს ანტანტის ლაქიები, რომელნიც ასრულებენ მის პოლიტიკას და რისთვისაც ეხლა ჯილდოთ იღებენ ბატონის სუფრის ნასუფრალს.

ჩვენ ვიცით რა უნდათ ამ გაქცეულ მშიშარა ქურდებს და რა ძალებს უყრიან ისინი თავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ ვიცნობთ მათ გუშინდელ მოკავშირეთ გენერალ ალექსეევს, რომელთანაც მეგობრულ მოლაპარაკებას აწარმოებდა გეგეჭკორი და აცხადებდა რა, რომ მათ საერთო მტერი ყავთ—ბოლშევიკები. ვიცნობთ აგრეთვე ოსმალეთის ფაშასაც, რომელსაც იარაღით გამარჯვებისათვის ბაქოს მუშებზე სადღეგრძელოს უძღვნიდა სამხედრო მინისტრი გიორგაძე ამასთან გერმანულ, ინგლისურ და სხვა საოკუპაციო ჯარებს, რომელთა წინაშეც სტუმართ მოყვარეობით იხსნებოდა კარები და რომელთაც ეხვეწებოდნენ არ დაეტოვებიათ დამოუკიდებელი საქართველო.

მაგრამ გამოუსწორებელი შესრულდა. რამდენათაც ლამაზი იყო საქართველო და მისი სტუმართ მოყვარე მმართველები, მაინც ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი არ მოინდომეს მათთვის ამაყ ბრიტებმა. რევოლიუციის მრისხანე აჩრდილის მოახლოვების წინაშე უკან დაიხიეს ანტანტის ჯარებმა. მათ არ მიიღეს ბრძოლა და ეს გულუბრყვილო მეოცნებენი დატოვეს თავის ძალების ანაბრათ. შედეგები ვიცით. მაგრამ იმდენათ კარგათ სცხოვრობდენ ეს ბრძენი მჯლაბნელები მშვენიერი კუთხის მმართველების როლში, რომ მისი დავიწყება ძნელია და რევანშის ოცნება, როდესაც მათთვის ყოველივე საბოლოოდ დაკარგულია, კვლავ სტანჯავს და აწამებს მათ.

ატუზულან რა გამუდმებით იმპერიალისტური მინისტრების დერეფნებში და კარებთან და გრძნობენ რა ყოველდღიურად რამდენათ უნაყოფოა იმედი უცხოეთის დახმარებისა, მენშევიკები აწყობენ შინაურ ფრონტს. როგორც წინად იყო მჭიდრო კავშირი ვეშაპელთან და სხვა ქართველ პურიშკევიჩებთან, ისე ეხლაც შეიქნა ახალი მჭიდრო კავშირი მენშევიკებისა და ყველა ბურჟუაზიული პარტიებისა.

26 მაისისათვის გამოშვებული ფურცელი მოუწოდებს საბრძოლველად საბჭოთა ხელისუფლებასთან და ხელმოწერილია მენშევიკების, ფედერალისტების, სოც. რევოლიუციონერების და ნაც. დემოკრატების მიერ: „მითხარ ვის იცნობ და მე გეტყვი ვინა ხარ შენ“. მთლიანი კონტრრევოლიუციონური ფრონტი შექმნილია და მუშათა შორის თუ კიდევ იყვნენ მენშევიკების რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით გაბრუებული ცალკე პირები, ასეთი ბლოკი ჩვენ აგიტაციაზე უკეთ ხდის ფარისევლურ ნიღაბს ამ პოლიტიკურ ავანტიურისტებს და ააშკარავებს ნამდვილ სახეს რევოლიუციის და მუშათა კლასის მტრებისას. რა უნდა ყოფილიყო საერთო ერთი მხრივ გვაზავა - ვეშაპელისა და მეორე მხრით მუშათა კლასის შორის? ბურჟუაზიის ლაქიები კიდევ ბედავენ თავის გამოცხადებას ქართველი მუშების და გლეხების ნების გამომხატველად.

მათთან აღმოჩნდა კიდევ ერთი ბნელი ბოკავშირე, 26 მაისისათვის გამოშვებულია ფურცელი საქართველოში მცხოვრებ „რუსების კომიტეტის“ მიერ, რომელიც ალბათ პირდაპირი მემკვიდრეა ყოფ. „რუსეთის ხალხის კავშირისა“. ფურცლებში იგონებენ რუსების ნაციონალურ საბჭოს სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც სცხოვრობდა გულითად ერთობაში დენიკინელებთან. ნაციონალური შოვინიზმის ზეიმის და ბატონობის დროს, როდესაც მენშევიკური პოლიტიკა შენდებოდა ნაციონალურ უმცირესობის ჩაგვრა-დამონებაზე, რუსების ნაციონალური საბჭო აწარმოებდა თავის ფარულ პოლიტიკას, რომელიც ეხლა გამოაშკარავდა, და რომელიც მიმართული იყო დენიკინთან შესათანხმებლად საქართველოს რუსეთზე შეერთების მიზნით. ახლა კი ისინი, გაერთიანებული კლასიური ფსიქოლოგიით პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე, მწარედ მოსთქვამენ წარსულ ბედნიერ დღეებზე და ოცნებობენ ძველის დაბრუნებაზე.

ეხლა საქართველოში როგორც „მზე წყლის პატარა წვეთში“ გამოსჭვივის გიგანტიური ბრძოლა, რომელმაც მთელი მსოფლიო შრომის და კაპიტალის ორ შეურიგებელ ბანაკად გაჰყო და მენშევიკების მოლაყბეებმა ამ ბრძოლაში დაიჭირეს თავიანთი ნამდვილი ადგილი თეთრების ბანაკში. მენშევიკებმა მოიხადეს პირბადე, გამოააშკარავეს მათი ბურჟუაზიული შინა ბუნება და პირფერულად განაგრძობენ კომუნისტების ტერორზე ყვირილს. ისინი, ვინც თავის ბატონობის დროს ეწეოდნენ მეზობლებთან განუწყვეტელ ომებს, ახშობდნენ სახელმწიფოს შიგნით ხალხურ აჯანყებებს, მუშების და გლეხების სისხლით რწყავდნენ ქვეყანას და სტკბებოდნენ ცეცხლ მოდებულ სოფლების ცქერით, რომლებიც ახშობდნენ რევოლიუციონურ პრესას და ციხეებს ავსებდნენ მტრებით კიდევ ბედავენ წითელ ტერორზე ყვირილს!

უცხოეთის პრესა სავსეა ცნობებით აჯანყებების, საერთო გაფიცვების და მასიურ დემონსტრაციების შესახებ, რომლებსაც ვითომ სასტიკათ უსწორდებიან შესაძლებელია ევროპაში მოიპოვებიან ისეთი გულუბრყვილონი, ან ხალხი, რომელთათვისაც ხელსაყრელია დაიჯერონ ყველა ეს ჭორები, მაგრამ ქართველი მუშები სიცილით ხვდებიან ამ ტყუილებს, ვინაიდან იციან, რომ კლასიური მატყუარები რომლებიც თავის თავს კიდევ სთვლიან საქართველოს მთავრობად და ოცნებობენ იმ ბედნიერ დღეზე, როდესაც დაეცემა რევოლიუციის წარღვნა და მათი ნოეს კიდობანი მიცურდება მშობლიურ არარატთან, ვინაიდან მენშევიკებთან ერთად გენუის კონფერენციაზე გამოსულმა პატრიარქ ამბროსიმ საქართველოში მენშევიზმის ღვთაებრივი დასაბუთება იპოვა საღმრთო წერილში.

ს. კ. პ. თ. კ. საგიტაც-საპროპ. განყოფილება.

წითელი პრესა

ვინ გაიმარჯვა გენუაში.

მოსკოვის „იზვესტია“-ში დაბეჭდილია წერილი საფრანგეთიდან ეხლახან მოსული ძველი რევოლიუციონერის, ამხ. **კარლ რაპოპორტის**, გენუის კონფერენციის შესახებ, სადაც ის სხვათა შორის სწერს შემდეგს ამ კონფერენციის შედეგებზე:

„ამოცანა, რომელსაც უყენებდნენ კაპიტალისტები გენუის კონფერენციას, დამარცხდა ძველ ქვეყანას არ შეუძლია თავი უშველოს ლოიდ-ჯორჯის რეფორმისტული და ფაშიანური მეთოდებით. ომის საფრთხე არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც არის დღეს. კაპიტალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს—საფრანგეთს—არ სურს განიარაღება. მას ურჩევნია თავის საკუთარი დაშლა და გადატაკება მთელი ქვეყნიერების, ის სწირავს თავის თავს ვერსალის ხელშეკრულების სამსხვერპლოზე. ამ ხელშეკრულების აზრი შეიძლება გამოვხატოთ ორ ერთი მეორის საწინააღმდეგო დებულებაში: 1) გერმანია უნდა გაპარტახდეს; 2) გერმანიამ უნდა გადაიხადოს უამრავი მილიარდები.

ერთად ერთ გამარჯვებულათ გენუის კონფერენციიდან გამოვიდა საბჭოთა მუშურ-გლეხური რეჟიმი. მან დაამტკიცა, რომ შეუძლია მოსცხოს თავის მტრებს ომის იარაღით, მაგრამ დიპლომატიის საშუალებითაც და არ მიმართოს იმავე დროს ვულგარულ ტყუილს ტრადიციულ ტალეირანულ დიპლომატიურ „ხელოვნებისას“. რაც დრო გავა, მით უფრო უნდა გაიგონ ყველა ქვეყნების ხალხებმა, რომ მათ უნდა აირჩიონ ორიდან ერთი: ან მთლათ ამოაწყვეტინონ თავი ქიმიურ და ჰაერის ომების ცივილიზაციას ან ჩაებან მსოფლიო პროლეტარიატის გამანთავისუფლებელ ბრძოლაში საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

⁂

ანტანტა და საქართველო.

როგორც ცნობილია საზღვარ-გარეთ გაქცეული მენშევიკური მთავრობა ყოველ ხრიკს მიმართავდა და ამ გზით მიდის დღესაც, რომ სახელი გაუტეხოს მშრომელთა ხელისუფლებას საქართველოში, ტყუილები და ჭორები ავრცელის აჯანყებების შესახებ, რომლის ალი მოედო თითქოს ჩვენ ქვეყანას და სისხლი ილვრებოდეს. მათ შეცდომაში შეიყვანეს გენუაში შეკრებილი სახელმწიფოებიც, რომლებიც, მტრულად განწყობილნი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, არც ერთ ჭუჭყიან შემთხვევას არ უშვებენ „შევიწროებული ერების“ დამცველი ხმა აღიმაღლონ საწყალი საქართველოს „სასარგებლოთ“. თანახმათ მენშევიკების თხოვნისა მათ მიმართეს გენუაში ჩიჩერინს, რათა მას ზომები მიეღო მენშევიკების მიერ გამოგონილი სისხლის ღვრის შესაჩერებლათ საქართველოში. ამხ. ჩიჩერინმა საკადრისი პასუხი გასცა პატარა ერების „დამცველებს“ და სააშკარაოზე გამოიტანა მთელი თაღლითობა მენშევიკების. რა შედეგი მოჰყვა ამის შემდეგ „მენშევიკური საქართველოსათვის“ იმპერიალისტების გამოქომაგებას? ისინი დარწმუნდნენ ამხ. ჩიჩერინის პასუხის შემდეგ, რომ ცოტა შორს „შესტოპეს“, რაც დაუშვებელია თუ გინდ იმავე ოფიციალური „ეტიკეტის“ გარეგნულათ მაინც დასაცავათ, რა რიგ სასურველიც უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ხლება მათთვის, რომელთა მთელი წარსული და აწმყო აშენებულია პატარა ერების დარბევა-ამოჟლეტა-აწიოკებაზე და გაპარტახებაზე, როგორც ახალშენებში, ისე მეტროპოლიებში.

მათი ამ ერთნაირი „გამოფხიზლების“ შესახებ შემდეგი სთქვა „იზვესტიის“ თანამშრომელთან სხვა ბევრ კითხვებზეც საუბრის დროს გენუიდან დაბრუნებულმა ამხ. **იოფფემ:**

„ჩვენმა პასუხმა დიდ და მცირე ანტანტის შეკითხვაზე საბჭოთა საქართველოში თითქოს მიმდინარე აჯანყებების შესახებ, რომლებმაც ასე შეაწუხა კეთილის მსურველი მენშევიკები, მოახდინა ჭეშმარიტათ იმდენათ გამომაფხიზლებელი შთაბეჭდილება, რომ ამ შეკითხვის ხელის მომწერთაგან ბევრმა მწუხარება გამოსთქვეს თავის საქციელის შესახებ, რადგან იგრძნეს, რომ შეცდომაში იყვნენ შეყვანილი. ბევრმა მათგანმა ამის შემდეგ გაასწორეს თავისი შეცდომა (**прислали нам свои , опровержения**“).

ერთხელ კიდევ ჩაუვარდა მენშევიკებს კოვზი ნაცარში. გამოიყვანებენ თუ არა ისინი აქედან რაიმე დასკვნას? ვიქვობთ. კუზიანებს რა გაასწორებს გარდა საფლავისა! მაგრამ მათ მიერ შეცდომაში შეყვანილი და გზა აბნეული ზოგი ჯგუფები ჩვენში მიაგნებენ დაბოლოს თავის საცალ სწორ გზას მშრომელთა რეჟიმთან დაახლოებისა და მასთან თანამშრომლობისას, როგორც ამის ნიშნები, ჩვენის ცნობით, უკვე არის აქა იქ მათ შორის დღესაც

რადიო-დეპეშები

გენუის კონფერენცია

დაწვრილებითი ცნობები უკანასკნელ პლენარულ სხდომის შესახებ

ვარშავა. 21 მაისი (რადიო მოსკოვით). „რეჩ პოსპოლიტა“ იძლევა შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს გენუის კონფერენციის 19 მაისის უკანასკნელ პლენარულ სხდომის შესახებ:

სან ჯორჯიოს სასახლის დარბაზი გაჭედილია ხალხით. რუსეთის დელეგატთა შორის გენუიდან გამგზავრებულ იოფეს მაგივრად სხდომას ესწრება ვოროვსკი. ლოიდ ჯორჯი სხდომის გახსნის დროს დარბაზში არ არის, ის გამოცხადდა მხოლოდ დღიურ წესრიგის მიღების შემდეგ.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა სამეურნეო კომისიის თავმჯდომარე კოლრატმა, რომელმაც აღნიშნა სხვათა შორის, რომ ევროპის ბედიღბალი დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენათ შესძლებენ ევროპის ხალხები შეეგუონ ერთმანეთს მათ შორის დადებულ ხელშეკრულებათა ნიადაგზე. ამ ხელშეკრულებათა ყოველი დამრღვევი იქნება მთელ ევროპის ინტერესების მოწინააღმდეგე.

კოლრატის შემდეგ გამოდის რატენაუ, რომელიც თავის სიტყვაში ხაზს უსვამს იმ დადებით ხასიათის შედეგებს, რომელიც კონფერენციამ მოი-

ტანა, მაგრამ ამავე დროს აფრთხილებს დელეგატებს ზედმეტ ოპტიმიზმისაგან. რატენაუ აღნიშნავს, რომ საქვეყნო მეურნეობის ნორმალურ განვითარების ინტერესებისათვის საჭიროა შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობა: 1) თვითეულ სახელმწიფოს საერთო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მის საწარმოო ძალთა ნაყოფიერებას. 2) საჭიროა სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთ ნდობის აღდგენა. 3) საჭიროა ყველა ხალხთა საერთო თანამშრომლობა და აგრეთვე შეგნებულად ზოგიერთ მსხვერპლის გაღება მსოფლიოს მეურნეობის აღდგენის ინტერესებისათვის.

ფაქტამ განაცხადა, რომ დიდი დღიურ წესრიგის გამო, რამოდენიმე ორატორი უარს ამბობს თავის სიტყვაზე და შემდეგ აძლევს სიტყვას ჩიჩერინს.

ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციამ გადასცა ეკონ. კომისიას მთელი რიგი შენიშვნებისა და შესწორებებისა, რომლების დაცვა დელეგაციას შემდეგშიაც საჭიროთ მიაჩნია. რუსეთის დელეგაციის სახელით ჩიჩერინი აცხადებს პროტესტს იმის შესახებ, რომ ეს უკანასკნელი არ იყო წარმოდგენილი შრომის საკითხების გამოსარკვევ კომისიაში. მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის კანონმდებლობა წმინდა მუშურ სახელმწიფოს კანონმდებლობას წარმოადგენს. შემდეგ ჩიჩერინმა აღნიშნა ის გარემოება, რომ შრომის კომისიის დადგენილებებში ადგილი არა აქვს მრავალ მნიშვნელოვან და საჭირო მუხლებს, რომლებიც ეხებიან მუშების შრომის დაცვას და განსაკუთრებით კი უმუშევართა დახმარებას. ჩიჩერინი აღნიშნავს აგრეთვე რომ 8 საათის სამუშაო დღის პრინციპი არ იყო სავსებით და მთლიანად მიღებული კომისიის მიერ. ბოლოს ჩიჩერინი აცხადებს, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსეთის დელეგაცია მაინც შესაძლოთ სცნობს მიიღოს სამეურნეო კომისიის დადგენილებანი.

შემდეგ გამოდის ჰოლანდიის დელეგატი, რომელიც აცხადებს, რომ ჰოლანდია მზათ არის მოიქმედოს ყოველივე ის რის ძალაც მას შესწევს, რათა განუმზადოს ღირსეული შეხვედრა ექსპერტების კომისიას, რომელიც არსებითად გენუის კონფერენციის გაგრძელება იქნება.

პოლონეთ ლიტვის საზღვრების საკითხის შესახებ გამოდის ლიტვის დელეგატი ვალკანუსი, რომელსაც ფაქტა ყოველ წუთში აწყვეტინებს შენიშვნით, რომ პოლონეთ ლიტვის სადაო საკითხების გარჩევა არ არის შეტანილი დღიურ წესრიგში.

პოლონეთის დელეგაციის სახელით სკირმუნტი აცხადებს, რომ პოლონეთს სრულებითაც არა აქვს განზრახული ლიტვისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ის ყოველ წუთს მზათ არის იცნოს ლიტვა დე იურე.

შემდეგ ფაქტა მიმართავს რუსეთის დელეგაციას შეკითხვით იღებს თუარა იგი დროებით დებულ. ზავ. შესახებ. ჩიჩერინი უპასუხებს, რომ რუსეთის დელეგაციამ წარუდგინა უკვე პოლიტიკურ ქვე კომისიაში ის შენიშვნები, რომლებიც მას არსებითად საჭიროდ მიაჩნია და ამ შენიშვნებით იღებს პოლიტიკურ ქვეკომისიის დადგენილების ტექსტს საზაო ხელშეკრულების შესახებ.

ჩიჩერინის პასუხის შემდეგ ფაქტა შეეკითხა ცალკ-ცალკე თვითეულ დელეგაციას, თანახმა არის ის თუ არა საზაო ხელშეკრულების დადებაზე. ლოიდ ჯორჯი დასტურით უპასუხებს. მას ზოგიერთი შენიშვნების გამონაკლისით მხარს უჭერს საფრანგეთის და ბელგიის დელეგაციები. საფრანგეთის დელეგაცია განაცხადებს, რომ კანის რეზოლიუციების თანახმად ის წინადადებას მისცემს თავის მთავრობას მიიღოს პოლიტიკურ ქვეკომისიის დადგენილება. ანალოგიურ განცხადებას აკეთებს ბელგიის დელეგაცია. დანარჩენი ინიციატორი სახელმწიფოები—იტალია და იაპონია, და აგრეთვე ყველა სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები გამოსთქვამენ თანხმობას საზავო ხელშეკრულების დადებაზე.

გერმანია დარჩა განზე, რადგან თავმჯდომარემ სიტყვაც კი არ მისცა სამშვიდობო შეთანხმების შესახებ.

შემდეგ იმ საკითხის შესახებ, რომლითაც ერთა ლიგას გადაეცა წინადადება მიანდოს წითელ ჯვარს საერთაშორისო მაშტაბით გამოვიდა ჩიჩერინი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი არ არის ერთა ლიგის წევრი. ჩიჩერინმა მოითხოვა განსაკუთრებული კომისიის მოწვევა. ჩიჩერინის პროტესტი შეიტანეს ოქმში.

უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა ლოიდ ჯორჯმა, ბარტომ, ჩიჩერინმა და ფაქტამ.

პირველად ილაპარაკა ლოიდ-ჯორჯმა: „თუ ავწონ-დავწონით ყოველივე იმას, სთქვა მან, რაც ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა კონფერენციაზე, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ ეს კონფერენცია მომასწავებელია საერთაშორისო პოლიტიკაში დიდი ნაბიჯის წინ გადადგმისა.

აუცილებელია დაბრკოლებებს პირდაპირ შევხედოთ. კონფერენციაზე ვერ შევძელით ყოველივე იმის გაკეთება, რისი იმედიც ქონდათ ზოგიერთ უკიდურეს ოპტიმისტებს, მაგრამ კონფერენციამ მაინც ბევრი რამ გააკეთა“. შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ რამოდენიმე შენიშვნა უნდა გაუკეთოს რუსეთის მემორანდუმს. მან აღნიშნა, რომ იგი იყო შუამავალთა მეთაური და ამიტომ შეუძლია ნება მისცეს თავის თავს რუსეთის დელეგაციას რამოდენიმე რჩევა მისცეს. ლოიდ ჯორჯმა არ იცის რა გავლენა მოახდინა რუსეთის მემორანდუმმა რუსეთის შინაურ პოლიტიკაზე, ხოლო მის საგარეო პოლიტიკაზე კი მემორანდუმს უარყოფითი გავლენა ქონდა. რუსეთს სჭირდება ევროპა—ევროპას კი რუსეთი. მაგრამ რუსეთს უფრო სჭირდება ევროპა. რამოდენიმე მილიონი ადამიანი განიცდის ამ ჟამად სიმშილობას და მათ ევროპამ დახმარება უნდა გაუწიოს. და ამიტომ ორატორს შესაძლებლად მიაჩნია მეგობრულად მიაქციოს რუსეთის ყურადღება იმაზე, რომ ევროპას შეუძლია აღმოუჩინოს ეს დახმარება მხოლოდ იმ გვარად, როგორც ეს მას ესმის. „თქვენ უნდა მიგვიღოთ ისეთებათ, როგორცა ვართ სინამდვილეში, ამბობს ლოიდ-ჯორჯი, და იმ პრინციპებით, რომელიც ჩვენ შევისისხლხორცეთ დედის ძუძუსთან ერთად“. დასასრულ ლოიდ ჯორჯი აღნიშნავს იმას, რომ მიუხედავათ ასეთი გარემოებისა, მაინც საჭიროა დახმარება აღმოუჩინოთ რუსეთის დიდსა და კეთილ შობილ ხალხს. დროებითი სამშვიდობო შეთანხმება ლოიდ-ჯორჯს დიდ გამარჯვებათ მიაჩნია, რადგან იგი დასაწყისია მუდმივი მშვიდობიანობისა. „მე იმედი მაქვს, განაცხადა დასასრულ ლოიდ-ჯორჯმა, რომ არ მოიძებნება არც ერთი ერი, რომელმაც აიღოს იარაღი ხელში თავის მეზობლის წინააღმდეგ. ხალხს სწყურია მშვიდობიანობა და იგი მზად არის ქედი მოიხაროს მისი მშვენიერი დროშის ქვეშ“.

ლოიდ ჯორჯის შემდეგ სიტყვას ამბობს ბარტუ, რომელიც აცხადებს, რომ იგი დარწმუნებული იყო მოლაპარაკების შედეგების ნაყოფიერებაში. როდესაც დაინიშა კონფერენციის უკანასკნელი სხდომა, მას ეშინოდა იმისი რომ, ამ კრებაზე შეიძლება გაისმას ისეთი სიტყვები, რომელიც ჩაშლიდა მოლაპარაკებას. ბარტუ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ასეთ სიტყვებს ადგილი არ ქონებია. 34 ერი, რომელიც მონაწილეობას იღებდა კონფერენციაში, მიისწრაფოდა გადაეწყვიტა უდიდესი საკითხები. საფრანგეთის მთავრობამ ყოველგვარი, მასზე დამოკიდებული, ზომა იხმარა იმისათვის, რომ კონფერენციის დადგენილებანი არ დარჩეს მკვდარ მასალად. საფრანგეთი დიდი და ხანგრძლივი მოლაპარაკებით ცდილობდა შეთანხმებოდა რუსეთს, რომელიც ამ ჟამად განიცდის წარმოუდგენელ გაჭირვებას და საჭიროებს დახმარებას. ბარტუ აცხადებს, რომ ყველას, ვინც კი გაჭირვებას განიცდის აქვს დახმარების მოთხოვნის უფლება მიუხედავათ იმისა, თუ რა სარწმუნოებას აღიარებს ან როგორ საზოგადოებრივ მდგომარეობაშია. საფრანგეთს არ შეუძლია დაივიწყოს ის დახმარება, რომელიც მას გაუწია რუსეთმა ომის ორი წლის განმავლობაში: „33 სახელმწიფოს თანადასწრებით მე ხაზი უნდა გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი, რომელსაც არას დროს არ სურვებია ომის დაწყება, ახლა აგრეთვე ოცნებობს მშვიდობიანობაზე“.

შემდეგ ამისა სიტყვა მიეცა ჩიჩერინს, რომელმაც წარმოსთქვა რამოდენიმე საზოგადო მოსაზრება კონფერენციის შესახებ; მან სხვათა შორის აღნიშნა, რომ ფაქტი ყველა ევროპიულ სახელმწიფოთა თანამშრომლობისა, განურჩევლად გამარჯვებულებისა, და დამარცხებულებისა და აგრეთვე კერძო საკუთრების სისტემისა, — არის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო ეკონომიურ აღორძინებას. მაგრამ გენუას კონფერენციამ მაინც ვერ გაამართლა ყველა იმედები. პირველ სხდომაზე რუსეთის დელეგაციამ მიუთითა იმ ზომებზე, რომელიც დინიდა ევროპიულ ხალხის წინაშე ახალ ღონისძიებათა პერსპექტივებს. მას ხელი შეუშალეს დაესვა განიარაღებისა და სხვა ზოგიერთი საკითხები. კონფერენციამ უმნიშვნელოთ და ისიც დიდის მორიდებით აიწია ერთგვარათ სხვა წინანდელ კონფერენციათა დონეზე მაღლა. მან, გარდა ამისა, არ დაიცვა თანასწორობის პრინციპი გამარჯვებულ და დამარცხებულ სახელმწიფოთა შორის, საბჭოთა რუსეთისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

კონფერენციის შემდეგ

დელეგატების დაშლა.

გენუა. 21 მაისი. (რადიო). ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრ უასპარის მეთაურობით გაემგზავრა გენუიდან ბელგიის დელეგაცია. საფრანგეთის დელეგაცია ბარტუს მეთაურობით წავიდა გენუიდან 20 მაისს. დელეგატების გასაცილებლად სადგურზე შეიკრიბენ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფაქტა, გარეშე საქმეთა მინისტრი შანცერი სამხედრო და სამოქალაქო პირნი და სხვა. საფრანგეთის დელეგაციის გამგზავრების წინ ფაქტას, შანცერის, ბარტუს და კოლრატის მონაწილეობით გაიმართა ხანგრძლივი საუბარი, რომელსაც ქონდა გულწრფელი ხასიათი. ბარტუმ უკანასკნელად მხურვალე მადლობა გადაუხადა იტალიის მთავრობას და საფრანგეთის სახელით გამოსთქვა ღრმა მეგობრობის გრძნობა იტალიისადმი. ფაქტამ დაარწმუნა ბარტუ, რომ მეგობრობის გრძნობას თანასწორად იზიარებს აგრეთვე იტალიაც. როდესაც საფრანგეთის დელეგაციის მატარებელი დაიძრა გაისმა მისალმების ხმები საფრანგეთის პატივსაცემლად, რაზედაც საფრანგეთის დელეგატებმა უპასუხეს იტალიის, გენუის და იტალია-საფრანგეთის მეგობრობის საპატივცემო სალამით.

ჟურნალისტების დაშლა.

გენუა. 21 მაისი. (რადიო). გენუაში წასვლის წინ შეიკრიბენ ჟურნალისტები, რომლებმაც დიდი მადლობა გამოუცხადეს პრესის სახლის თავმჯდომარეს ერნესტ არტომს, რომელსაც უძღვნეს რჩეული მთელი ქვეყნის ჟურნალისტების მიერ ხელმოწერილი. რჩეულის გადაცემის ზეიმი მოხდა მრავალ-რიცხოვან ჟურნალისტების თანადასწრებით.

უკანასკნელი სალამი.

სან-პაოლო. 21 მაისი. (რადიო). სან პაოლოს რადიო სადგურის ტელეგრაფისტებმა, დაგზავნეს რა უკანასკნელი რადიო დეპეშის ბიულეტენი გენუის ეკონომიურ კონფერენციის მუშაობის შესახებ, მიესალმნენ მთელი ქვეყნის კოლეგებს, რომლებთან ერთად ისინი მოუთმენლად ელოდენ იმ ამბებს, რომლებიც მოეწოდა გენუის გრანდიოზული კრების დროს. ხომალდი, რომელსაც შეადარა კონფერენცია ინგლისის პრემიერმა, არა თუ არ ჩაიძირა ათასგვარ გაჭირვებათა სიმძიმისაგან, არამედ თუმცა ვერ ნახა მან გენუაში თავის ბუნებრივი ნავთსადგური, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მესაჭეთა და ხალხის ნების ყოფის დახმარებით გაასწორა თავის იალქანი ახალი ნავთსადგურის მიმართულებით, ე. ი. ჰააგის მიმართულებით. ჩვენ გულწრფელად უსურვებთ ჰააგას იმ ბედნიერებას, რომელსაც ვერ მიაღწია გენუამ.

ამერიკის პოზიცია.

ბერლინი. 23 მაისი. (რადიო) „ჩიკაგო-ტრიბუნალი“ იუწყება, შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ევროპის პოლიტიკოსები ძლიერ შეცდებიან, თუ მისცემენ იუზას ნოტას ისეთ აზრს, თითქოს ამერიკის მონაწილეობა ჰააგის კონფერენციაში შესაძლებელი იყოს.

მეორე ინტერნაციონალის პოზიცია.

ბერლინი. 23 მაისი (რადიო). კელნში შესდგა თათბირი საერთაშორისო სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებისა, რომლებიც შედიან მეორე ინტერნაციონალში.

ყველა დელეგატებმა გაილაშქრეს მთლიანი ფრონტის იდეის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა. გადასწყვიტეს ექსპერტთა კრებასთან ერთად ჰააგაში მოიწვიონ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია. გერმანიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ ყველა ქვეყნის სოციალისტების გაერთიანება მნიშვნელოვანია მათთვის განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ემზადებიან გერმანიის ოკუპაციისათვის. ამის საპასუხოთ ბელგიის დელეგატმა გაუსმანმა აღნიშნა გერმანიის საფრანგეთის მთავრობის და ბელგიის იმპერიალისტურ პოლიტიკიდგან დაცვის აუცილებლობა.

რუსეთში შესვლა

რომი. 23 მაისი, (რადიო) არსებულ ცნობებით, უახლოეს დროში ხელს მოაწერენ გერმანიას და იტალიას შორის სავაჭრო ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულებაში შეტანილია მუხლი, რომელსაც გათვალისწინებული აქვს გერმანიის [illegible] იტალიისთვის რუსეთში კომერციული მიზნებით შესვლის გაადვილება.

ეკლესიის რეფორმა.

ბორდო. 23 მაისი, (რადიო). რიგიდან მიღებულ ცნობებით, საბჭოთა მთავრობამ განიხილა საკითხი პატრიარქატის და ეკლესიის მთელი იერარქიის გაუქმების შესახებ. წამოყენებულ პროექტის თანახმად, ეკლესიის საქმეთა მმართველობა გადაეცემა მორწმუნეთა „ობშჩინებს“.

კონტრიბუციის პრობლემა.

ბორდო. 23 მაისი, (რადიო). ფრანგული პრესა იუწყება, რომ გერმესი ამჟამად აწარმოებდა პარიზში მოლაპარაკებას კერძო სახით საკონტრიბუციო კომისიის წევრებთან. საკონტრიბუციო კომისიას ოფიციალურად ჯერ არ მოუსმენია გერმანიის ფინანსთა მინისტრის წინადადება. კერძო მოლაპარაკებას მიზნათ აქვს ცალკე საკითხების გამორკვევა.

საჰაერო ფლოტი რუსეთში.

ბორდო. 23 მაისი, (რადიო). „ტანის“ ცნობებით, საბჭოთა მთავრობამ შეისყიდა იტალიაში 100 ჰაეროპლანი. რუს პილოტებისათვის ინსტრუქციების მისაცემად, რუსეთში იგზავნება იტალიელი ავიატორი ბატელლი.

ფრანგების ჯაშუშობა გერმანიაში.

ბორდო, 23 მაისი. რადიო. გერმანიის პრესა განაგრძობს მსჯელობას ფრანგ ჯაშუშ ანსპანის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედება სამხედრო საბუთების ყალბ დამზადებაში. საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურად უარყოფს გერმანიის პრესის ცნობებს და ამტკიცებს, რომ საფრანგეთს არ უსარგებლია ანსპანის საბუთებით.

ჰაერით მიმოსვლა რუსეთში.

რომი, 21 მაისი. რადიო. იტალიის მწარმოებელთა და რუსეთის მთავრობას შორის სწარმოებს მოლაპარაკება შერეული საზოგადოების დაარსების შესახებ რუსეთის მთავარ პუნქტებს შორის მუდმივი საჰაერო ხაზის მოსაწყობად.

ლოიდ ჯორჯი ლონდონში.

ნაუენი. 23 მაისი (რადიო) გზაში ლოიდ-ჯორჯს არ ჰქონია საუბარი საფრანგეთის არც ერთ სახელმწიფო ხელმძღვანელ მოღვაწესთან.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია

მოსკოვი. 23 მაისი. (რადიო) ცაღმასკომის სესიამ 22 მაისის სხდომაზე დაამტკიცა ორი პროექტი: „შრომის მიხედვით მიწით სარგებლობის შესახებ“ და „კერძო ქონებრივ ძირითადი უფლებების შესახებ.“

კანონპროექტის უმნიშვნელოვანეს დამატებას წარმოადგენს უკანასკნელი მუხლი, რომელიც ამბობს რომ ეს კანონი ვრცელდება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაზე, ავტონომიურ მოკავშირე და მეგობარ რესპუბლიკებზედაც. ამ კანონში ამა თუ იმ ცვლილების შეტანა, რომელიც გამოწვეული იქნება ადგილობრივი პირობების მიხედვით, სწარმოებს საადგილ-მამულო საქმეთა ცენტრალურ კაბინეტის საშუალებით, რომელიც არსებობს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის კომისიასთან და ამისათვის შემუშავებულ სათანადო წესის მიხედვით.

მომხსენებელი მეორე საკითხის შესახებ ამხ. კურსკი წინადადებას აძლევს სესიას, მიიღოს ზოგიერთი შესწორებანი ამ კანონ პროექტში, რადგანაც იგი ეხება იმ მემკვიდრეობითი ქონების ღირებულების გადიდებას, რომელიც შეიძლება გადავიდეს მემკვიდრეების ხელში. მიღებულ იქნა ამ მუხლის შესახებ დამატება, რომლითაც მემკვიდრეობის საერთო წესიდან შესაძლებელი ხდება გამონაკლისის მოხდენა, ისეთ შემთხვევებში რომელიც გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული კანონის მიერ. ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს კონფერენციის მიერ შეტანილი ახალ მუხლს, რომელიც ამბობს, რომ კანონს არა აქვს უკუქცევითი ძალა და რომელიც არ აძლევს უფლებას ყოფილ მესაკუთრეთ, რომელთაც ჩამორთმეული ქონდათ ქონება რევოლიუციონური უფლების ძალით, ხსენებულ დადგენილ ბის გამოცემამდე, მოითხოვონ თავი ქონების უკანვე დაბრუნება.

ორივე კანონპროექტი მიღებ იქნა ერთხმად. შემდეგ აღმასკო სესიის განსახილველად წარდგენ იქნა შინაგან საქმეთა სახალხო კო სარიატის პროექტი დადგენილებ კომუნალური მეურნეობის შესახ ამხ. ბელობოროდოვმა აღნიშნა, რ კომუნალური მეურნეობის მოწყობ საქმეში არსებობს მრავალი თვალსა რისი. ყველაზე უკიდურესი მიმდი რეობა მოითხოვს ძველი საქალა და საერობო თვითმართველობა აღდგენას კომუნალური მეურნეობ მმართველობის ორგანიზაციის სახ ზოგნი მოითხოვენ კომუნალურ გ ყოფილებათ გადაეცეს მეურნეობ ყველა დარგი. კომუნალური მეურნ ობის კომისია მივიდა იმ მომენტა დის, როდესაც საჭიროა კომუნალუ მეურნეობის სფეროში შეიკრიბოს ე თად ყველა ის, რაც მართლაც ეკუ ვნის სამეურნეო დარგს, ამას ეკუ ვნის, სხვათა შორის, საკითხი ელე ტრონის სადგურების შესახებ, კომ ნალური მეურნეობისათვის სატრა სპორტო ორგანიზაციის ნაწილობ ვი გადაცემა და აგრეთვე საგარე სესხის აღება კერძო კოოპერატიუ საშუალებათა მონაწილეობით კომ ნალური ალაშენებლობის საქმეში.

მოხსენებამ საინტერესო კამათ გამოიწვია. მრავალი ორატორი ა ნიშნავდა, რომ პრინციპში პროექ გაზვიადებულია და რომ კომუნალუ მეურნეობათ არა აქვთ იურიდიულ პიროვნების სახე და გარკვევით ჩამო ყალიბებული უფლებები. მომხსენე ელმა საპასუხო სიტყვაში განაცხად რომ იურიდიულ უფლებებს ახორციე ელებს აღმასკომი და არა კომუნა ლური განყოფილება.

კომუნისტები და გლეხობა საფრანგეთში

ჩვენი უთანხმოება საფრანგეთის ამხანაგებთან საკითხზე ერთიანი ფრონტის შესახებ სრულებითაც არაა ამოწურული. პირიქით თუ გადავხედავთ საფრანგეთის პარტიული პრესის ზოგიერთ სტატიებს, მივიღებთ შთაბეჭდილებას, რომ ძარღვი უთანხმოებისა და გაუგებრობისა—პარტიის ზოგიერთ წრეებში მაინც—უფრო ღრმაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. ჩვენს წინაა ამხ. რენო ჟანის სტატია, რომელიც დაბეჭდილია, როგორც მეთაური „ლიუმანიტე“—ში (6 აპრილი 1922 წ.) ამხ. ჟანი, პარტიის ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი, მომხსენებელი აგრარული საკითხის შესახებ მარსელის კონგრესზე, გამოვიდა ენერგიულათ და გულახდილათ იმ შეხედულებათა წინააღმდეგ რომლებსაც ჩვენ ვიცავდით, მაგრამ რომლებიც მას ვერ მიაჩნია სწორათ. თავისი სტატიის სათაურში ის უწოდებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას სახიფათოს, ტექსტში ის პირდაპირ ლაპარაკობს კატასტროფაზე, როგორც ამ ტაქტიკის აუცილებელ შედეგზე საფრანგეთში. „ჩვენი ქვეყანა სამი მეოთხედი საუკუნეა, რაც დანერგებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებით. კლასებათ დანაწილება მოედო მხოლოთ უმნიშვნელო უმცირესობას.. რესპუბლიკანურ-ბურჟუაზიული საფრანგეთი აბნეულობის აღთქმის ქვეყანაა.“ ამ სრულიად სისწორით აღნიშნულ ფაქტებიდან ამხ. ჟანს გამოჰყავს დასკვნა, რომელსაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით: „კომუნისტური პარტია უნდა იყოს აქ ყველაზე უფრო შეურიგებელი, ვიდრე სხვაგან.“ და აი, ამხ. ჟანი შეურიგებლობის ამ თვალსაზრისით ილაშქრებს ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, რომელიც მას წინანდებურათ ეჩვენება მხოლოთ ინტერპარტიულ შეთანხმებათ ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა—და კიდევაც ვამბობთ—რომ ღრმესი ტაქტიკური პრობლემის ამგვარი დაფასება მოწმობს იმას, რომ თვით ჟანიც არაა თავისუფალი ფრანგული სოციალიზმის წმინდა საპარლამენტო ტრადიციების შედეგებისაგან: იქ, სადაც ჩვენთვის დგას საკითხი ფართო მასების დაპყრობის შესახებ, მუშათა კლასის ავანგარდის გარშემო ბურჟუაზიულ-შემთანხმებელ ბლოკადის გარღვევის შესახებ, ამხ. ჟანი დაჟინებით ვერ ხედავს ვერაფერს, გარდა „უშმკურ“ კომბინაციისა, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია მოგვცეს პარლამენტში ადგილების რიცხვის რამდენიმეთ გამრავლება (!!)—პროლეტარიატის პოლიტიკურ შეგნებაში არევდარევის გაზრდის ფასით. ამავე დროს კი—და ამაში ის სავსებით მართალია—საფრანგეთს უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას ესაჭიროება ნათელი, გარკვეული და გადაჭრილი პოლიტიკური აზრი და პარტიის მუშაობა. მაგრამ თუ ამხ. ჟანი ფიქრობს რომ ფრანგული კომუნიზმი უნდა იყოს ყველაზე უფრო შეურიგებელი, მაშინ რატომაა რომ, სანამ ის გაილაშქრებდეს ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, არ ცდილობს აღნიშნოს, რომ ფრანგული კომუნიზმი ამ ჟამათ ყველაზე ნაკლებ შეურიგებელი, ყველაზე მეტად მომთმენიანია, ყველაზე მეტად გულჩვილია ყოველგვარ გადახრათა მიმართ?

სიცხადეზე და გარკვეულობაზე, როგორითაც გვიკეთებს ჩვენ კრიტიკას ამხ. ჟანი, ვუპასუხებთ აგრეთვე საჭირო სიცხადითა და გარკვეულობით. არც ერთი სხვა კომუნისტურ პარტიაში არ იქნებოდა წარმოსადგენი ისეთ სტატიები, განცხადებები და სიტყვები რევოლიუციონურ ძალდატანების წინააღმდეგ მჟავე და სანტიმენტალურ ჰუმანიზმის გემოთი, რომლებსაც ვხედებით ჩვენ ფრანგულ პარტიულ პრესაში. თუ რენო ჟანი სრულ უფლებით ლაპარაკობს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიის „განგრენა“-ზე, მაშინ ყველაზე უფრო მწარე შედეგი ამისა მუშათა კლასში ხომ რევოლიუციონურ ინსტინქტისა და აღშფოთების ნების მოდუნებაში, პროლეტარიატის აქტიურ ტენდენციების უფორმო დემოკრატიულ პერსპექტივებში გალესვაში შესდგება. ჰუმანიტარული საკმაზი ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ლიგისა, რომელიც სერიოზულ საათში, როგორც ვიცით, ოთხ ფეხზე ხოხავდა ფრანგული მილიტარიზმის წინაშე, ქადაგება მორალისტებისა და ტოლსტოველების პოლიტიკურ ვეგეტერიანტებისა და სხვ. და სხვ., როგორათაც არ უნდა განსხვავდებოდენ ისინი გარეგნული სახით მესამე რესპუბლიკის ოფიციალურ პოლიტიკისაგან, ბოლოს და ბოლოს ისე ემსახურება მას, რომ უკეთესათ არ შეიძლება. უფორმო-პაციფისტური აგიტაცია, სოციალისტურ ფრაზეოლოგიით დაფარული საუკეთესო იარაღია ბურჟუაზიულ რეჟიმის. ჭეშმარიტ პაციფისტს ეს შეიძლება პარადოქსათ მოეჩვენოს, მაგრამ ეს მაინც ასეა.

ვერც პუანკარესა და ვერც ბარტუს ვერ მოიყვანს განცვიფრებაში და ვერ შეაცდენს ჟორჟ პიოკის პაციფისტური არიები. მაგრამ მშრომელთა განსაზღვრულ ნაწილის გონებაში ასეთი ქადაგება პოულობს მომზადებულ ნიადაგს. მტრობა ბურჟუაზიულ წყობილებისა და სამხედრო ძალდატანებისადმი პოულობს ჰუმანიტარულ ფორმულებში გულწრფელ, მაგრამ უნაყოფო გამოხატულებას და არ იჭრება მოქმედებაში. და ამაში მდგომარეობს პაციფიზმის სოციალური ფუნქცია. განსაკუთრებული სიცხადით გამოიხატა ეს ამერიკაში, სადაც ბრიანის შაიკამ უდიდესი გავლენა ჰპოვა ფერმერებს შორის სწორეთ პაციფიზმის ლოზუნგებით. ხილკვიტის ტიპის სოციალისტები და სხვა ასეთები, რომლებსაც წარმოედგინათ თავიანთი თავი უდიდეს მოხერხებულ ადამიანებათ, სულ ერთიანათ გაებენ მეჩანურ პაციფიზმის მახეში და მით გაუადვილეს ამერიკას მიეღო მონაწილეობა ომში.

კომუნისტური პარტიის ამოცანაა ჩანერგვა მუშათა კლასში მზად ყოფნისა იხმაროს ძალდატანება, ხოლო ამისთვის კი საჭიროა ვასწავლოთ მას გაარჩიოს რეაქციონური ძალდატანება, რომელიც ემსახურება მხოლოდ იმას, რომ შეაჩეროს ისტორია მის მიერ უკვე განვლილ ეტაპზე, რევოლუციონურ ძალდატანებისაგან, რომლის შემოქმედი მისია მდგომარეობს იმაში, რომ გასწმინდოს ისტორიის გზა იმ დაბრკოლებებისაგან, რომლებიც დაგვიტოვა წარსულმა. ვისაც არ სურს გაარჩიოს ერთი მეორისაგან ძალდატანების ეს ორი სახე, ის ვერ არჩევს კლასებს, ე. ი. აბუჩათ იგდებს ცოცხალ ისტორიას. ვინც დეკლამატორობს ყოველგვარი მილიტარიზმის წინააღმდეგ, ძალდატანების ყველა და ყოველგვარ სახის წინააღმდეგ, ის აუცილებლათ მხარს უჭერს მართველთა ძალდატანებას, ვინაიდან ის არის ფაქტი განმტკიცებული, გამაგრებული სახელმწიფო კანონებით და გადაქცეული ჩვეულებათ. მის დასამხობათ საჭიროა მეორე ძალდატანება, რომელმაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოიპოვოს თავისთვის უფლება თვით მშრომელთა შეგნებაში.

კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელმა კონფერენციამ აღნიშნა მთელი რიგი სხვა მოვლენებისა საფრანგეთის პარტიის შინაურ ცხოვრებაში, რომლებიც მოწმობს იმას, რომ ის არას შემთხვევაში არაა მეტის-მეტად შეურიგებელი. ხოლო, ამავე დროს კი ის ასეთი უნდა იყოს,—ამას მოითხოვს მთელი პოლიტიკური წრე. ერთში კი ჩვენ თანახმა ვართ, ამხ. რენო ჟანთან: ერთიანი ფრონტის მეთოდების ხმარება მოითხოვს პოლიტიკურ შეგნების სრულ სიცხადეს და გარკვეულობას პარტიაში, მისი ორგანიზაციის სიმტკიცესა და დისციპლინის ბოლომდე დაცვას.

შემდეგ ამხ. ჟანი ეყრდნობა იმას, რომ ერთიანი ფრონტის პლატფორმის სახით წამოყენებულ მოთხოვნილებათა სიაში (ბრძოლა გადასახადის წინააღმდეგ სამუშაო ქირაზე, რვა საათის სამუშაო დღის დაცვა და სხ.) ის ვერ ნახულობს ვერც ერთ მოთხოვნას, რომელსაც შეეძლებოდა პირდაპირ დაეინტერესებია „საფრანგეთის მომუშავეთა ნახევარი, სახელდობრ, გლეხები“. რაა მათთვის რვა საათის სამუშაო დღე? რაა მათთვის გადასახადი სამუშაო ქირაზე?

ამხ. ჟანის ეს საბუთი მიგვაჩნია ჩვენ მეტად სახიფათოთ: საკითხს წვრილი გლეხობის შესახებ საფრანგეთის რევოლიუციისთვის ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენმა საფრანგეთის პარტიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, როდესაც წამოაყენა აგრარული პროგრამა და დასვა მთავარ მუშაობას დღის წესრიგში გლეხთა მასების დაპყრობა. მაგრამ მეტისმეტად სახიფათო და პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა სულ უბრალოთ გაგვეთქვა „საფრანგეთის პროლეტარიატი „მშრომელებში“ ან და „მომუშავეებში“, როგორც ნახევარი მთელში. ჩვენ ამ ჟამად არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ პოლიტიკურადაც შემოვიკრიბეთ საფრანგეთის მუშათა კლასის მხოლოდ უმცირესობა. რევოლიუცია შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც ჩვენ პოლიტიკურად შემოვიკრებთ ჩვენს გარშემო უმრავლესობას. რევოლიუციის დროშის ქვეშ გაერთიანებულ საფრანგეთის მუშათა კლასის მხოლოდ უმრავლესობას შეუძლია მოიმხროს და გაიყოლიოს საფრანგეთის წვრილი გლეხობა. საკითხი მუშათა ერთიანი ფრონტის შესახებ არის ძირითადი საკითხი; ამ კითხვის გადაუჭრელად მუშაობა გლეხობაში, როგორი წარმატებითაც არ უნდა წარმოებდეს ის, ვერ დაგვაახლოვებს ჩვენ რევოლიუციას. გლეხური პროპაგანდა და კარგი აგრარული პროგრამა—დიდი მნიშვნელოვანი ფაქტორია წარმატებისა. მაგრამ გლეხობა რეალისტური და სკეპტიკურია, ის არ უჯერის სიტყვას, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც მას ბევრჯელ ატყუილებენ.

სერიოზულ ბრძოლაში საფრანგეთის გლეხი,—სოფელში თუ ყაზარმაში,—პროგრამულ ლოზუნგებით არ წავა. ის სერიოზულად გასწევს რისკს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინახავს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ანდა არა-ჩვეულებრივ მოსალოდნელად ხდის გამარჯვებას. მან უნდა დაინახოს ძალა, რომელიც დადებს მასში ნდობას თავისი მრავალრიცხოვნობითა და დისციპლინით. გათიშული პოლიტიკურ და პროფესიონალურ ხაზებზე მუშათა კლასი ასეთ ძალათ გლეხობის თვალში ვერ წარმოგვიდგება. რევოლიუციის გასამარჯვებლად საფრანგეთში საჭირო წინასწარი პირობაა გლეხობის განსაზღვრული, რაც შეიძლება ფართო ნაწილის გადმოყვანა მუშათა კლასის მხარეზე. მაგრამ ამ გადმოყვანის წინასწარ პირობათ რჩება საფრანგეთის მუშათა კლასის დიდი უმრავლესობის გაერთიანება რევოლიუციის დროშის ქვეშ. ეს არის ძირითადი ამოცანა. უნდა მოვიმხროთ მუშები, რომლებიც მიყვებიან დღეს ჟუოსა და ლონგეს. ნუ იტყვით, რომ ისინი ცოტანი არიან. რასაკვირველია, რიცხვი ლონგეს, ბლიუმის და ჟუოსი აქტიურათ მომხრეთა თავგანწირულების, ე. ი. ისეთების, რომლებიც მზად არიან თავები დასდონ მათი პროგრამისათვის, ასეთების რიცხვი ცოტაა. მაგრამ პასიურები, ინერტიულები, გაუნათლებლები, ზარმაცები აზრითა და ტანით, ჯერ კიდევ ბევრი არიან. ისინი დგანან გვერდზე, მაგრამ თუ ამბები დაატყდებათ მათ თავზე, ისინი დღევანდელი თავიანთი მდგომარეობით უფრო მალე ჟუო-ლონგეს დროშის ქვეშ დადგებიან, ვიდრე ჩვენს ქვეშ, რადგან ჟუო ლონგე გამოხატავს და ყვლეფს მუშათა კლასის პასივობას სიბნელესა და ჩამორჩენილობას.

თუ ამხ. ჟანი, რომელიც ხელმძღვანელია პარტიის მუშაობის გლეხებს შორის, არა პროპორციონალურათ ანაწილებს თავის ყურადღებას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის, ეს სამწუხაროა, მაგრამ შეიძლება მისი ახსნა და არც იმდენათ სახიფათოა, ვინაიდან პარტია, როგორც მთელი, მას გამოასწორებს. მაგრამ ამხ. ჟანის თვალსაზრისზე რომ პარტია დამდგარიყო და ყოფილიყო პროლეტარიატზე უბრალო შეხედულების, სახელდობრ, როგორც მშრომელთა „ნახევარზე“, მაშინ მართლაც ნამდვილ სახიფათო შედეგების მოლოდინში ვიქნებოდით, ვინაიდან გათქვეფდა პარტიის რევოლიუციონურ კლასიური ხასიათს მშრომელთა უფორმო პარტიაში. ეს საფრთხე კიდევ უფრო ნათლათ გვეხატება, როდესაც მივყვებით ამხ. ჟანის აზრთა მსვლელობას შემდეგში. ის პირდაპირ უარს ამბობს ბრძოლის ისეთ ამოცანებზე, რომლებიც არ ეხება ყველა მშრომელთ, ან და, როგორც ის თვითონ ამბობს: „არ შეიცავენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც საერთოა პროლეტარიატის ორივე დიდი ნაწილისთვის“ (!) აქ „პროლეტარიატში“ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო პროლეტარიატი, არამედ გლეხობაც. მეტისმეტად სახიფათოა ბოროტად სარგებლობა ტერმინოლოგიის, რასაც პოლიტიკურათ მივყევართ იქამდის, რომ ამხ. ჟანი ცდილობს დააყენოს პროლეტარიატის მოთხოვნილებანი (რვა საათის სამუშაო დღის შენარჩუნება, სამუშაო ქირის დაცვა და სხვ.) გლეხობის კონტროლის ქვეშ!

გლეხი არის წვრილი ბურჟუა, რომელსაც ცოტათ თუ ბევრათ შეუძლია დაუახლოვდეს პროლეტარიატს და რომელიც განსაზღვრულ პირობებში ცოტად თუ მეტად მტკიცეთ შეიძლება დაპყრობილ იქნეს პროლეტარიატის მიერ რევოლიუციის საქმისთვის. მაგრამ აგრარული წვრილი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის სრულ ერთ და იგივეთ მიჩნევა და პროლეტარიატის მოთხოვნების შეკვეცა წვრილი გლეხობის თვალთა ხედვის ასრით, ნიშნავს უარის თქმას პარტიის ნამდვილ კლასიურ ბაზაზე და სწორეთ იმ არევ-დარევისა და გაურკვევლობის თესვას (confusion), რომლისთვისაც გლეხურ-პარლამენტურ საფრანგეთში საგანგებო ნოყიერი ნიადაგია.

თუ, როგორც, ჩვენ დავადგინეთ, რვა საათის სამუშაო დღე არ შეიძლება გახდეს საფრანგეთში ერთიანი ფრონტის ლოზუნგათ, ვინაიდან ეს მოთხოვნა „არ აინტერესებს“ გლეხს, მაშინ ბრძოლა მილიტარიზმთან ჟანის თვალსაზრისით, ჭეშმარიტი რევოლიუციონერი პროგრამაა საფრანგეთისთვის. არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა იმაში, რომ საფრანგეთის წვრილი გლეხი, ომის მიერ მოტყუებული, ზიზღით უყურებს მილიტარიზმს და თანაგრძნობით ეკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონდონში ლოიდ-ჯორჯს მიეგება ჰერცოგი კონაუდასკი, მთავრობა და დიდძალი ხალხი მისალმებებით.

პუანკარეს „ზომიერება“.

ნაუენი 23 მაისი (რადიო). საფრანგეთის გაზეთები გადმოგვცემენ პუანკარეს შემდეგ „ზომიერ“ მოთხოვნილებებს, რომელიც მან გამოხატა თავის სიტვაში საფრანგეთის ჯარის წარმომადგენელთა ყრილობაზე სტოარბურგში. პუანკარემ განაცხადა, რომ გერმანიის ფიზიკური განიარაღება მორალურს გარეშე ფიქციაა, რომელშიდაც დაფარულია ჩანასახი ახალი მოწამლული შურის გეგმების საფრანგეთის წინააღმდეგ. გერმანიის პრესა აღნიშნავს ამ სიტყვის უკიდურეს უტაქტობას.

ესერების პროცესი

მოსკოვი. გაზეთი „პრავდა“ აშუქებს ვანდერველდეს ერთგულ მოღვაწეობას მეფის მთავრობის წინაშე, დაწყებული 1915 წლიდან, რომელიც გამოიხატა მის მოლაპარაკებაში თავად კუდაშევთან, ბელგიაში მყოფ ელჩთან. სოციალისტების ლიდერი ვანდერველდე მოგვითხრობს რომ, როდესაც ვანდერველდე მიწვეული იყო მთავრობაში უპორტფელო მინისტრად „კუდაშოვი მივიდა მასთან იმავ დღეს იმისათვის, რომ გამოერკვია როგორ მოქმედებდენ ბელგიაში რუსის სოციალისტები“. ვანდერველდე აპირებდა გაეგზავნა ამსტერდამის სოციალისტებისათვის დეპეშა, „შეგიძლიათ თუ არა თქვენ გამიწიოთ იმდენი სამსახური, რომ იშუამდგომლოთ გაუშვას თქვენმა ცენზურამ ეს დეპეშა“. მე, მოგვითხრობს თავადი კუდაშოვი, უპასუხე, რომ სანამ არ გავიგებ დეპეშის ტექსტს მანამ არ შემიძლია აღვძრა შუამდგომლობა“. გადაწყდა, რომ სამხედრო მინისტრის კაბინეტის შეფი ჩემთან და ვანდერველდესთან ერთად შეადგენდა დეპეშის ტექსტს. ვანდერველდემ წაგვიკითხა მის მიერ შემუშავებული ტექსტი დეპეშისა; იგი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ვიბრძვით მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ“ „ჩემდა სამწუხაროთ, უნდა მოგახსენოთ, უპასუხა თავადმა, რომ ასეთ დეპეშას ვერ გაუშვებთ. თქვენ მოუწოდებთ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებს იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ“—„რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხომ არა, უცბათ შემაწყვეტინა სიტყვა ვანდერველდემ,—გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ“. „მაშ რატომ არა, ვსთქვათ პრუსიის იუნკრების წინააღმდეგ“, „რა მშვენიერი აზრია, რასაკვირველია იუნკრების წინააღმდეგ“. ამგვარად იქნა სწორედ შედგენილი დეპეშა და გაიგზავნა სხვათა შორის პეტროგრადშიც.

— ჩრდილო რკინისგზელთა 1 რაიონის მიტინგზე ესერების პროცესის შესახებ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „არავითარი შეცოდება და შეღავათი დამნაშავეებს არ მიეცესთ“.

—მე-14 სტამბის ასოთ ამწყობებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც მოღალატისა და შეჩვენების სახელით ნათლავენ ესერებისა და მენშევიკების მოღვაწეობას და მოითხოვენ მათი მკაცრი სასჯელით დასჯას. რაც რეზოლიუციაში ნათქვამია: ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარი საშვალებით სარგებლობამ, რომელიც მიდიოდა სახალხო ბელადების მოკვლამდე, გააერთიანა მუშასოსამსახურენი ზიზღის გრძნობის ესერების და მენშევიკების წინააღმდეგ გამოთქმაში, და ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ერთად ერთი რევოლიუციონურად მუშათა კლასის ინტერესების ერთგული პარტია არის კომუნისტების პარტია.

— სახელმწიფო ნიშნების დამმზადებელ მექანიკურ სახელოსნოების მუშებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც ისინი მოითხოვენ რევოლიუციონურ ტრიბუნალისაგან დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკი და მკაცრი სასჯელის გამოტანას, რომელნიც სწოვდენ გლეხობის სისხლს, უწოდებდენ რა თავის თავს ესერებს და მოქმედებდენ რა ამ ნიღაბით, ისინი ატყუებდენ გლეხობის ნაწილს, უსისინებდენ მათ მუშურ-გლეხურ მთავრობას და აწყობდენ აჯანყებებს—ტამბოვის გუბერნიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანტონოვი, და სარატოვის გუბერნიაში პოპოვის მეთაურობით. ამ ბანდებმა მუშათა კლასის არა ერთი და ორი საუკეთესო წარმომადგენლები იმსხვერპლეს და აუარებელი საგლეხო მეურნეობა გაანადგურეს. და სწორედ ამისათვის მოითხოვენ მუშები პროლეტარულ სამსჯავროსაგან ყველაზე უფრო მკაცრსა და სასტიკ მსჯავრს ესერებისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გადასახადის სისტემის გატარება. ახალციხიდან გვატყობინებენ, რომ სამაზრო აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ დაამუშავა გადასახადის პროექტი: მიწის, სავაჭრო სამრეწველო, ყავახანების, შეფასებით. სავაჭრო სამრეწველო და საყავახანო გადასახადი უკვე ტარდება ცხოვრებაში და 15 ივნისისთვის შეკრებილი იქნება სრულად. გადასახადის აკრეფის საჭიროება დიდი ხანია მოწიფდა, რადგანაც საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეები, რომლებიც გადაყვანილ იქნენ ადგილობრივ სახსარზე, უკვე დიდი ხანია არ ღებულობენ ჯამაგირებს. გადასახადის საერთო ჯამი მაზრის და ქალაქის მასშტაბით (მიწის გადასახადის გამოკლებით), შეადგენს 3 მილიარდ მანეთამდი და მათი შეკრება მაზრისათვის არ წარმოადგენს დიდ დაბრკოლებას.

გზები. ახალქალაქიდან იტყობინებიან: ახალქალაქის ერთი უბედურებათაგანს წარმოადგენს ახალციხიდან და თბილისთან მიმოსვლათა საშუალების უქონლობა. ყველაზე უფრო მოკლე გზა თბილისისაკენ მხოლოდ ზაფხულს 2—3 თვეა თავისუფალი. გზა მანგლისით თავისუფალია აგრეთვე 3 თვეს. მუდმივი გზა ახალციხით უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თითქმის სრულიად არ კეთდებოდა; გასულ წელს მდინარემ 4 ადგილას სავსებით დაანგრია გზა და აქამდი ის არ არი შეკეთებული. მიმოსვლის საშუალებათ არის დუხობორების ფურგუნები და უკეთეს შემთხვევაში ეტლები, რომლებიც იღებენ თითო მგზავრიდან 1—1 ნახევარი მილ. მან. მიმოსვლათა საშუალების უქონლობამ ფაქტიურად მოსჭრა მაზრა ცენტრიდან. ეკონომიურმა განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო კერძო პირთან ახალციხე-ახალქალაქის ხაზზე ავტომობილით მიმოსვლის მოწყობის შესახებ. ეს ძალიან დაეხმარებოდა მაზრის დაახლოვებას ცენტრთან, და დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, მაგრამ სამწუხაროთ ეს ხელშეკრულება არ ტარდება ცხოვრებაში. ავტომობილით მიმოსვლის მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ახალქალაქისათვის.

აფხაზეთი.

სასურსათო გადასახადი. გუმისტინის მაზრამ შეასრულა სასურსათო გადასახადის 100 პროც. და ის დაწერილია წითელ დაფაზე.

აზერბაიჯანი

გლეხების მისალმება. შინაგან საქმეთა კომისარი ამხ. ბაგიროვი ტელეგრაფით ატყობინებს სოფელ კარადონლიდან ამხ. სერებრიაკოვსკის: „სალიანის, ლენკორანის, აგდაშის, ჯებრაილის და შიმშის მაზრების გლეხობამ კალიასთან ბრძოლაში მოიპოვეს დიდი გამარჯვება და გადაარჩინეს მათგან თავიანთი ნათესები. ამ ჟამად პურის აღების სამუშაოში და კალიასთან ბრძოლაში ჩაბმული გლეხობა წრფელი ამხანაგური სოლიდარობის გრძნობით სიხარულს განიცდის მოპოვებული წარმატებით ნავთის ფრონტზე, რაც გამოიხატა ნავთის ორი ახალი შადრევანის ამოხეთქაში.

ნავთის ფრონტზე 13 მაისს ყველა ადგილებში ამოღებულია 499,000 ფ., გადასაქაჩავად გადაყვანილია 346,000 ფ., მიღებულია გადაქაჩვისაგან 343000 ფ., გაწმენდილია 143,000 ფ.

მოსავლის აღება. ზამთრის პურეულის თავის დროზე აღების მიზნით, რომლებიც გადარჩენილ იქნა კალიისა და სხვა სტიქიურ უბედურებისაგან, სახალხო კომისართა საბჭომ 14 მაისს დაადგინა გამოცხადდეს აზერბეიჯანის მთელ ტერიტორიაზე კამპანია ზამთრის პურების ასაღებად. პირველ რიგში უნდა აღებულ იქნას პურები კალიის რაიონებში და მასთან ახლო მდებარე ადგილებში: სალიანის და ჯებრაილის მაზრებში, ლენკორის მაზრის სებიდაჟის ადგილებში, და შემახინის, გოგჩის და აგდაშის მტკვრის ნაწილებში დანარჩენ რაიონებში მეორე რიგში. მოსავლის აღების კამპანია ცენტრში ევალება მიწ. დ მოქმედების კომისარიატთან არსებულ თესვის კომიტეტს. სამაზრო სამეულებს უფლება ეძლევა ნებაყოფლობით გაიწვიოს მშრომელი ნაწილი მცხოვრებლებისა თავის საქონლით და საჭირო ინვენტარით. იმ შემთხვევაში თუ კალია ემუქრება ნათესებს კომისიებს უფლება ეძლევა მოახდინოს მობილიზაცია მთელი საშუალებების და აგრეთვე გაწვევა მოსული მუშებისა, რომლებიც მუშაობდენ პურის ადგილებში წინა წლებში (სპარსელები, მთიან ყარაბაღის მცხოვრებნი, დაღესტნის და სხვ). მუშებს ხელფასს აძლევს ნათესების პატრონი მოსავლის გადარიცხვით და დაწესებულ სამუშაო ქირასთან შეფარდებით მიწადმოქმედების კომისარიატს წინადადება მიეცა ორ დღეში გამოიმუშავოს მოსავლის აღები კამპანიის ინსტრუქციის გამომუშავება.

კალიის წინააღმდეგ. კომპარტიის ცენტრალურ და ბაქოს კომიტეტმა კალიასთან საბრძოლველად მობილიზაციით გაეწვია 14 პასუხის მგებელი ამხანაგი. 16 მაისს გაწვეულები გაემგზავრენ ადგილებზე.

სომხეთი

ბრძოლა ხოლერასთან. ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ შედგენილი და საფინანსო კომისარიატის დასკვნით წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს ჯანმრთელობის კომისარიატს 6, 6 მილიარდი მ. ნ. საბჭოთა ფულის ნიშნებით წინასწარი ხარჯებისათვის ხოლერის თავიდან ასაცილებლად.

სომხეთის დამხმარე კომიტეტში. სომხეთის დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 20 მაისს ერევანში მყოფი კომიტეტის წევრების მონაწილეობით დადგენილ იქნა 10 ივნისისათვის განზრახულ ყრილობის დღის წესრიგში შეიტანონ შემდეგი საკითხები: კულტურულ განმანათლებელი და საკითხები სომხეთის აღდგენის შესახებ. უკანასკნელი საკითხების დამუშავება და საზღვარგარეთიდან წამოსულ საქონლის მიღების დაჩქარება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

ბამბის კამპანია მიწადმოქმედების კომისარიატთან არსებულმა ბამბის კომიტეტმა შესწყვიტა პურის მარცვლეულობის გაცემა ცენტრალურ საწყობებიდან. ამ ჟამად საბამბო კომისია სპეციალური რწმუნებულის საშუალებით აკვლევს ბამბის კამპანიის შედეგებს. ბამბის კომიტეტმა დაურიგა ცენტრალურ საწყობებიდან არაზდეიანის, ზანგიბასრის, ეჩმიაძინის, კარაკლისის და კურდუკულინის რაიონებს 4,880 ფ. ბამბის თესლი. გამორკვეულია, რომ უკვე დათესილია გაცემული თესლის 95 პროცენტი. ელიან დამაკმაყოფილებელს და ზოგან კარგ მოსავალს.

დება ანტი მილიტარისტულ სიტყვებს. თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ დაუზოგველათ უნდა ვამხილოთ კაპიტალისტური მილიტარიზმი, როგორც ქალაქში, ისე სოფელშიც. ომის გაკვეთილი ბოლომდე უნდა იქნეს გამოყენებული. მაგრამ მეტად სარისკო იქნებოდა პარტიისთვის დაეტყვილებია თავი იმით, თუ რა ზომამდე შეუძლია გლეხურ ანტიმილიტარიზმს **დამოუკიდებელი** რევოლიუციონური მნიშვნელობა. გლეხს არ სურს მისცეს თავისი შვილი ყაზარმაში; გლეხს არ სურს იხადოს გადასახადი არმიის შესანახად; ის გულწრფელათ ტაშს უკრავს ორატორს, რომელიც ლაპარაკობს მილიტარიზმის წინააღმდეგ (და თითქმის „ყველა მილიტარიზმის“ წინააღმდეგ). მაგრამ გლეხობის ოპოზიციას არმიის მიმართ აქვს არა რევოლიუციონური, არამედ ბოიკოტისტურ პაციფისტური სარჩული. Fichez moi la paix (თავი დამანებეთ)—აი მისი პროგრამა! ასეთ განწყობილებას შეუძლია შექმნას ხელსაყრელი ატმოსფერა რევოლიუციისთვის, მაგრამ მას არ შეუძლია შექმნას თვით რევოლიუცია და უზრუნველყოს მისი გამარჯვება.

სანტიმენტალური პაციფიზმი პიოკის აზრის არის გამოხატულება გლეხური და არა პროლეტარული დამოკიდებულებისა სახელმწიფოსა და მილიტარიზმის მიმართ. ორგანიზაციულათ შეკავშირებული და შეგნებული პროლეტარიატი, დგას რა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ სახელმწიფოს წინაშე, სვამს კითხვას იმას შესახებ, თუ როგორ შეკავშირდეს და შეიარაღდეს ის, პროლეტარიატი, რათა დაამხოს და დაამსხვრიოს ბურჟუაზიული ძალდატანება თავისი დიქტატურის საშუალებით. განკერძოებული გლეხი ასე შორს როდი მიდის: ის უბრალოთ მილიტარიზმის წინააღმდეგია, მას სძაგს ის, ის მზათაა ზურგი შეაქციოს მას—fichex moi la paix!—თავი დამანებეთ ყველა თქვენი მილიტარიზმებით! ასეთია პსიხოლოგია უკმაყოფილო, ოპოზიციონურ გლეხის, ინტელიგენტის ანდა ქალაქის წვრილი ბურჟუასი. უაზრობა იქნებოდა არ გამოგვეყენებია ასეთი განწყობილება ჩვენს შესაძლებელ წვრილ ბურჟუაზიულ და ნახევრათ პროლეტარულ მოკავშირეების წრეში, მაგრამ დიდი დანაშაულობა იქნებოდა ამ განწყობილებათა გადატანა პროლეტარიატსა და ჩვენს საკუთარ პარტიაში.

სოციალ-პატრიოტებმა გაიძნელეს მისვლა გლეხთან თავისი პატრიოტიზმით. ჩვენ ყოველნაირათ უნდა გამოვიყენოთ ეს უპირატესობა. მაგრამ ეს არას შემთხვევაში არ გვაძლევს ჩვენ უფლებას უკანა რიგში ჩავაყენოთ კლასიური პროლეტარული მოთხოვნილებანი—თითქმის მაშინაც კი, თუ ჩვენ რისკს ვწევთ გამოვიწვიოთ დროებითი გაუგებრობა ჩვენს მეგობარ გლეხებთან. წვრილი გლეხობა უნდა გაყვეს პროლეტარიატს ისე, როგორც ეს უკანასკნელი. გადაქცევა გლეხობათ პროლეტარიატს არ შეუძლია. რომ კომუნისტური პარტია, პროლეტარიატის სასიცოცხლო კლასიურ მოთხოვნილებათა გვერდის ავლით, წავიდეს ნაკლები წინააღმდეგობათა მიმართულებით იმ მხრივ, რომ წამოაყენოს პირველ ადგილზე პაციფისტური ანტი მილიტარიზმი, ის რისკს წევს მოატყუილოს გლეხებიც, მუშებიც და თავის თავიც.

საფრანგეთში, ისე როგორც ყველგან, ჩვენ გვესაჭიროება, უწინარეს ყოვლისა, ფრონტის ერთობა თვით პროლეტარიატში. საფრანგეთის გლეხობა არ გადაიქცევა პროლეტარიატათ იმით, რომ ამხ. ჟანი მისცემს თავის თავს ნებას ბოროტათ მოიხმაროს სოციალური ტერმინოლოგია. მაგრამ თვით საჭიროება ასეთ ბოროტ მოხმარაში საშიშარი სიმპტომია ისეთი პოლიტიკის, რომელსაც შეუძლია დასთესოს მხოლოდ უდიდესი აბნეულ-დაბნეულობა. ხოლო ფრანგული კომუნიზმი კი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე, საჭიროებს სიცხადეს, გარკვეულობას და შეურიგებლობას. ყოველ შემთხვევაში, ამაში მაინც ვართ ჩვენ თანახმა ჩვენს ფრანგ ოპონენტთან.

ლ. ტროცკი.

29 აპრილი, 1922 წ.

მიზანი

ძღვნად ს. თ—იას.

ვიშ, რა რიგ ტკბება სული
ლტოლვის უსაზღვროებით
რა რიგათ თვრება საუკუნე
ნატვრულ დროებით!
განვლილ ცხოვრების ვითარება
არ გაორდება:
ძველი სამყარო დაიკვნესებს
და აოხრდება.
ჩვენ დავისვენოთ დღეს ამ გზაში
წყაროს ნაპირათ:
ჩვენ ლტოლვის მერანს
არ ამოვდებთ წყურვილს ალვირათ.
ბნელ ტყიან მთაში ჩვენ
ვიპოვით რწმენის სხვა გზებსა,
კიდევ გადავეკვეთ და გადვიართ
მთის სალ-კლდეებსა,
და იქ რომ მივალთ, იქაც
წყაროს დავიწაფებით,
გზაში დარჩენილ თანამგზავრებს
დავენატრებით,
უსაზღვრო სივრცით რწმენის
რაშით გავეჩქარებით,
დილის ცელქ ნიავს სიჯეჯეში
დავედარებით...
იქით კიდევ მთა... კიდევ ლტოლვის
უსაზღვროება,
კიდევ სიცოცხლე-უკვდავების
რაშით ქენება.
ვიშ, რა რიგ ტკბება სული
ლტოლვის უსაზღვროებით,
ვიშ, რა რიგ თვრება საუკუნე
ნატვრულ დროებით!

სანდრო ეული.

---

* * *

სისხლიან ქუჩებს მივანდე თავი
და შევიყვარე ბარიკადები.
მე სიჭაბუკე ცეცხლში დავჰყავი
და მხიბლავს მხოლოდ ცეცხლის ვარდები.

—

ზეცის ეტრატზე როცა იელვებს,
შავი ღრუბლები აიშლებიან,
ო! ჩემი ქუჩაც მაშინ იღელვებს,
ბაირაღები გაიშლებიან.

—

მე მაშინ მიყვარს ქუჩის ხმაური
ბარიკადებზე ყოფნა, მზადება,
ბრძოლა, ქაოსი, აურზაური,
შურის ძიება, სისხლის აღება.

—

ცხოვრება მშვიდი მე აღარ მინდა
ყოფნა აღერსით, ფიქრი ბაღებში
მე ყველაფერი ბრძოლისთვის მინდა,
მსურს მოვკვდე წითელ ბაირაღებში.

—

სისხლიან ქუჩებს მივანდე თავი
და შევიყვარე ბარიკადები
და სიჭაბუკე ცეცხლში დავჰყავი
და მხიბლავს მხოლოდ ცეცხლის ვარდები.

გ—ძე.

ქრონიკა

◆ **ინდოეთ ევროპის ტელეგრაფი.** რუსეთის საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელმა თბილისში მიიღო ლონდონიდან პირდაპირი მავთულით პირველი დეპეშა, გადმოცემული ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო ხაზით. დეპეშა გამოგზავნილია ლონდონიდან 19 მაისს 2 ს. 40 წ. და მიღებულია თბილისში 20 მაისს 1 ს. 30 წუთზე.

◆ **მაზრობრივი ჯამები 1917 წ. აღწერისა.** საქართველოს ცენტრალ სტატისტიკურ სამმართველომ უკვე გამოაქვეყნა „1917 წ. სასოფლო სამეურნეო და საადგილ-მამულო აღწერის მაზრობრივი ჯამები“. ცნობები ეხება აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის ყველა მაზრას. ბათომის ოლქის შესახებ კი მასალები მუშავდება ეხლა, რომლის შედეგები დაბეჭდილი იქნება ცალკე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს „ბიულეტენში“.

ჯამები შეიცავს შემდეგ ცხრილებს: 1. მოსახლეობის განაწილებას ეროვნების მიხედვით, 2. მიწათმფლობელობის და მიწათ „სარგებლობის, 3. ყოველგვარ სასურსათო, საკვებ და ტეხნიკურ მცენარეების ნათესების, 4. საქონლის რაოდენობის და 5. მეურნეობათა მუშა ხელით, მიწითა და საქონლით უზრუნველყოფის.

◆ **ბოროტ მოქმედებანი აპრილში.** შინაგან საქმეთა კომისარიატის სამილიციო განყოფილების ცნობით გასულ აპრილში ჩაწერილია სულ 296 ბოროტმოქმედება, რომელთაგანაც 165 აღმოჩენილია. ბოროტმოქმედების რიცხვიდან ყველაზე მეტი არის ქურდობა—143, (აღმოჩენილია—67). შემდეგ მკვლელობა (აღმოჩენილია—27). შეიარაღებული თავდასხმა (გაცარცვა)—28, (აღმოჩენილია—11). დაჭრა—11 (აღმოჩენილია—8). ცეცხლის წაკიდება—10 (აღმოჩენილია—7)—დააპატიმრეს 6 ავაზაკი. თვითმკვლელობა—5, რკინის გზაზე უბედური შემთხვევა—3, გვამების პოვნის, ტუსაღის გაქცევის და დახჩობის ორ ორი შემთხვევა, ქალის მოტაცებისა და ერთი გაუპატიურების. ბოროტ მოქმედების უმეტესი რიცხვი მოდის თბილისზე—109, (83 ქურდობა), შემდეგ რკინის გზის ხაზზე—27. ქუთაისში—26. აჭარაში—25. თბილისის მაზრაში—19, ზუგდიდის მაზ.—14, ქუთაისის მაზ.—13, გორისა და ახალციხის მაზ.—12. სიღნაღის მაზ. 9, დუშეთის მაზ—8, ბორჩალოს მაზ. 6 (მკვლელობა), სენაკის მაზ.—5. ქ. ფოთში 4. ლეჩხუმის, თიონეთის და შორაპნის მაზ. სამსამი შემთხვევა თითოში. ახალციხის მაზ.—1 (ქურდობა) თელავის, ოზურგეთის და რაჭის მაზრებში თითო შემთხვევა.

◆ **თბილისის ელექტროფიკაცია** თბილისის აღმასკომის მიერ სპეციალისტებისაგან შემდგარმა კომისიამ თბილისის ელექტროფიკაციის საკითხის განსახილველად, მისაღებად აღიარა ქალაქის შენობათა კომიტეტის გიდრო საალმშენებლოს განყოფილების მიერ დამუშავებული ქალაქის ელექტროფიკაციის პროექტი მტკვრის და არაგვის წყლების გამოყენებით, მაგრამ იგი ვინაიდან ძლიერ ძვირი ჯდება განუხორციელებელია ამ ჟამად. ამის გამო, როგორც დროებითი ზომა, კომისია ფიქრობს შეჩერდეს ინჟენერი ბ. ვ. კოსტინის პროექტზე, რომლის მიხედვითაც უნდა გაერთიანდენ ქალაქ. ტრამვაის და გასანათებელ ელექტრო სადგურები სამ ახალ ლზელის დადგმით, რომლებსაც ექნებათ 1650 ცხენის ძალა.

◆ **გაზ. „ტრიბუნის“ რედაქციისაგან.** აპრილის ანგარიშების გაუსწორებლობის გამო პოლიგრაფიის განკარგულებით დროებით შეჩერებულია გაზ. „ტრიბუნის“ გამოცემა. რედაქციას მიღებული აქვს ზომები და ახლო მომავალში გაზეთის გამოცემა განახლებული იქნება.

◆ **ჩაის დამზადება.** მოსკოვის ჩაის სამართველომ დასდო ხელშეკრულება საქართველოს ს. ს. რ. წარმომადგენელთან, რომლის მიხედვითაც უკანასკნელს ეძლევა 80,000 ოქროს მანეთის კრედიტი (ფინანსთა კომისარიატის კურსით). უპროცენტოთ 1922 წ. ჩაის მოსავლისათვის.

დღეს თეატრებში.

— ოპერის თეატრი გრანდიოზული წარმოდგენა, პირველად ტფილისში. ოპერის სცენაზე, კონსტანტინე რომანოვის მისტერია „იუდეველთა მეფე“.

— რუსთაველის თეატრი ვ. ბლიუმენტალ—შამარინის გასტროლი „სიმფონია“.

— პატარა თეატრი—თურქული წარმოდგენა.

— რევ. სამხატვრო თეატრი—ქალი ვამპირი.

სახ. სახლი—კარმენი.

ცენტრ. მუშ. კლუბი წარმოდგენა სეირნობა.

— ცენტ. მუშ. კლუბი ახალი თეატრი კინო.

საქართ. წითელი ლაშქრის ცენტრ. კლუბი—წარმოდგენა სეირნობა.

პროფკავშირთა საბჭოს კლუბში—ლიტერატურული საღამო.

კონსერვატორია კონცერტი.

თავისუფალი თეატრი—სეირნობა.

ცირკი დიდი სადღესასწაულო პროგრამა.

კინო-თეატრებში.

არფასტრო—სიძულვილის სახლი.

სარკის—ვეჟაგობა.

კინო არს—ამერიკა.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

ნათესების მდგომარეობა.

თბილისის მაზრაში. ნათესების მდგომარეობა საშუალოზედ კარგია. აპრილის პირველ ნახევარში მაზრაში მძვინვარებდა ქარი, ამინდი იდგა მეტად გვალვიანი, ვენახები და ბაღები კარგ მდგომარეობაში არიან.

ახალციხის მაზრაში. შემოდგომის ხორბლეულობას საშუალო პირი უჩანს, გაზაფხულისას საშუალოზედ კარგი.

აპრილის პირველ რიცხვებში ამინდი იყო გვალვიანი, მაისისათვის მოვიდა წვიმები, რამაც გვალვისაგან შეშინებული ნათესები მეტად გამოაკეთა.

სიღნაღის და თელავის მაზრებში. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ მცენარეებისთვის მავნე მწერებთან საბრძოლველ ბიუროს სპეც. თანაშემწე ვ. ა. სვირიდენკო, რომელიც წარდგენილი იყო თელავისა და სიღნაღის მაზრებში ამ მიმართულებით იქ მდგომარეობის გამოსარკვევად და მავნე მწერებთან ბრძოლის ორგანიზაციის მოსაწყობად, აცნობებს მიწ. მოქ. სახ. კომ. თავის მოქმედების ანგარიშში შემდეგს:

სიღნაღის მაზრაში, სოფ. ვაკირის მიდამოებში გაჩნდა მინდვრის თაგვი და ზოგგან ტყის თაგვიც. უმთავრესად ზარალდება ალაზნის ნაპირებზე მდებარე ყანები. თაგვები გავრცელებულია ზოგიერთ ადგილებში, ცალცალკე ახალშენებად; ამ ადგილებზე პური მეტად დაზარალებულია, ზოგიერთი ნაჭრები კი სრულებით არ არის გაფუჭებული.

ამხ. სვირიდენკომ მოაწესრიგა აქ მუშაობა თაგვების განადგურების მიზნით, რისთვისაც მიწათ მოქმედების განყოფილებამ მისცა მას პური და თაგვის შაქარი.

ალაზნის რაიონში ამხ. სვირიდენკომ დაწვრილებით დაათვალიერა სოფელ წნორის-წყლის, საქობოს, ბოდბის ხევის, ჯულაანის, ქვემო მაჩხაანის, ტიბაანის, ფანიანის და წითელ წყაროების მიწები. აქ ყველგან გავრცელებულია ჭრიჭინის მატლები, რომელიც საგრძნობელ ზიანს აყენებს პურს ზოგიერთ ადგილებზე, ისინი განსაკუთრებულ ზიანს აყენებენ პურის და ქერის ახალ დამძიმებულ თავთავს. ასეთი მატლები მომეტებულათ გავრცელებულია სოფ. წნორის წყლის და საქობოს მიწებში.

სოფ. ტიბაანის და პანიანის მიწებში აღმოჩენილია მთელი პარტიები კალიის მეორე ხნოვანების მატლებისა. ეს მატლები ჯგუფებით ესევიან ყანებს. მხოლოდ მათი მოძრაობა ჯერ უმნიშვნელო არის და დროზე მიღებულ ზომების საშუალებით შესაძლებელია მათი განადგურება. დაზიანებულ ადგილების საერთო რაოდენობა უდრის 200 დესეტინას.

ალაზნის ველის სხვა ადგილებში კალია არ აღმოჩნდა, მაგრამ ამხ. სვირიდენკოს წამოსვლის დროს მიწ. მოქ. განყოფილებაში შემოსულა განცხადება მირზაანის რაიონიდან კალიის გაჩენის შესახებ, რაც იძლევა საბუთს ვიფიქრო, რომ შირაქის მინდვრებიც მოდებული იქნება კალიით, რადგან შირაქის მინდვრები განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს იძლევა კალიის გასავრცელებლად.

ამხ. სვირიდენკომ ადგილებზე მოაწესრიგა მთელი წინასწარი, მოსამზადებელი მუშაობა განმანადგურებელ რაზმის დასაარსებლად.

კონდოლის რაიონში (თელავის მაზრა) გავრცელებულია ჭრიჭინის მატლი, რომელსაც ისეთივე ზიანი მოაქვს აქ, როგორც სიღნაღის მაზრაში. მათი გავრცელების რაიონი საკმაოდ დიდია, მაგრამ საგრძნობელ ზარალის მოტანა წრეულს მათ არ შეუძლიანთ. მათ წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივ უკვე მოწესრიგებულია.

კალიასთან საბრძოლველად ამხ. სვირიდენკოს განზრახული აქვს დაუყონებლივ შეადგინოს რაზმი 10 კაცის შემადგენლობით სასხურებლებით, ორი ურმით და ერთ ცხენოსან მზვერავით, გამოცდილ სპეციალისტის ხელმძღვანელობით. მთელი მუშაობა კალიის განადგურების მიზნით გაგრძელდება სულ 10 დღე. გარდა ამისა საჭიროა შირაქის მინდვრების გასინჯვა და იმ შემთხვევაში, თუ იქ აღმოჩნდება კალია, საჭირო იქნება იქ განმანადგურებულ მუშაობის გადატანა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს ნავთსადგურებში.

ფოთის ნავთსადგურში მოვიდა: 20 მაისს ბათუმიდან „ჭოროხი“ მოიტანა 400 ფუთი ფქვილი და მოიყვანა 20 მგზავრი. „კროშკა“ 120 ფ ტვირთით და 11 მგზავრით და „თბილისი“, უტვირთოდ. 21 მაისს ბათუმიდან მოვიდენ რუსეთის გემები „ველიკი-ნოვგოროდი“ და „იგნატი სერგეევი“ ორთავე უტვირთოდ. ანაკლიიდან რუსეთის გემი „წმ. ნიკოლოზი“ 400 ფ. ხე-ტყით. ოსმალეთის გემი „კაპლანი“ 20 ფ. თევზი და საქართველოს გემი „მტრედი“ 1500 ფ. ხე-ტყით. ნოვოროსიისკიდან ამერიკის გემი „სუნებკო“, ცარიელი.

ნავთსადგურიდან წავიდენ: 20 მაისს „ჭოროხი“ სოხუმში 6 ფ. ტვირთით და 30 მგზავრით, „გიორგი“ ბათუმში უტვირთოდ. გემები „პორტოხანი“, „რუსეთი“, და „შამბაბარი“, ანაკლიაში დაუტვირთავად. 21 მაისს წავიდა „თბილისი“ დაუტვირთავად, სოხუმში წავიდა „კროშკა“ 70 ფ. ტვირთით. „დიდი-ნოვგოროდ“ დაუტვირთავად და „იგნატი-სერგეევი“ 29000 ფ. ტვირთით და 8 მგზავრით.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატების თათბირი.

15 ივნისს მოსკოვში მოწვეულია რ. ს. ფ. ს. რ. რწმუნებულთა და მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირის წესრიგი შემდეგია: 1) მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობა, 2) რ. ს ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაობა. 3) საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია, 4) საბაჟო პოლიტიკა.

საქართველოს საისტ. და საეთნ. საზოგადოებაში

აკაკი შანიძის მოხსენება 23 მაისს

23 მაისს, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც ახალგაზრდა მეცნიერმა აკ. შანიძემ წაიკითხა მცირედი მოხსენება—„ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშები“ (მცხეთის ჯვარის საყდარის, ბოლნისის სიონისა და ხუმანისის ჯვრის კვარცხლბეკის (ბაზისის) წარწერები. ეს უკანასკნელი ძეგლები ინახება თვით უნივერსიტეტის შესავალ კარებთან.

ამხ. შანიძის მოხსენების მიზანი იყო უკვე წაკითხულ წარწერების წაკითხვაში შესწორების შეტანა (ხსენებული ძეგლების შესახებ ცნობები მოეპოვება არქ. ე. თაყაიშვილს, გიორგი წერეთელს, დიუბუას, ბროსეს, ბართლომეის და სხვებს) ერთის მხრით

და წარწერათა ენის მხრით საყურადღებო მხარეების შესწავლა და გაშუქება.

მოქ. შანიძე, ეტყობა, არ კმაყოფილდება თავისი კვლევა ძიებით „მეორე პირის სუბიექტიური სუფიქსისა და მესამე პირის ობიექტიური სუფიქსის შესწავლის ფარგალში და კვლავაც განაგრძობს თავის სადოქტორო დისერტაციაში უკვე საკმაოდ ამოწურულის კიდევ უფრო გაშუქებას.

ასე მაგ., იგი დამსწრეთა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უძველეს ჯვარის საყდრისა და ზემორე დასახელებულ (მეთერთმეტე საუკ.) ძეგლეებში ლიტონად მდგარ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: „მეოხ ხეყავ", „შეხეწიე", „შეხუაბით", რომლებიც ზედმეტი და უკვდავი მოწმენი არიან იმისა, რომ უძველეს დროში სრულიად სათელი და გარკვეული ყოფილა სუბიექტიური და ობიექტიური პრეფიქსების ფუნქცია.

პატივცემულმა ახალგაზრდა მეცნიერმა შეიტანა ზოგიერთი თვალსაჩინო შესწორება გ. წერეთლისა, ბარტლომეისა და ექვთიმე თაყაიშვილის და სხვათა მეცნიერთა მიერ შეცდომით წაკითხულ ხელნაწერების წაკითხვაში, რაიცა ჩვეულებრივ ემარჯვება ყველა ახალგაზრდა და ერუდიციის მქონე მკვლევარს. მოგეხსენებათ, რომ ეპიგრაფიული ძეგლის პირველად წაკითხვა ყოველთვის ძნელია, რადგან ახალი საქმე ყოველვის მეტ ინტენსიობასა და ყურადღებას მოითხოვს და ეს ცხად ჰყო ხსენებულმა მომხსენებელმა.

მოხსენება,—რომელსაც დაესწრო საზოგადოების საბჭოს წევრები და სპეციალისტთა ჯგუფი, მათ შორის პროფესორები—ჩუბინაშვილი, ჯავახიშვილი, (უნივერსიტეტის რექტორი), უზნაძე, ვუკ. ბერიძე, და სხვები,—მეტის მეტად საინტერესო იყო, რისთვისაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს. კრებაზე არჩეულ იქმნა ორი ახალი წევრი. უნდა აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტი, რომ საზოგადოება მიუხედავად ყველასაგან განცდილი კრიზისისა, ახერხებს კრების მოწვევასა და სათანადოდ მოწყობას. კრება დაიხურა საღამოს 10 საათზედ.

Cato.

ქალთაშორის მუშაობა

3 და 4 რაიონები.

16 მაის საღამოს, განსაკუთრებული გამოცოცხლება ეტყობოდა მე-3 რაიონის რაიკომს. რაშია საქმე? რა მოხდა? რაღაც ძალიან ბევრ ქალებს მოუყრიათ თავი. ჰო, მართლა! დღეს ხომ ავლაბრისა და ორთაჭალის რაიონების უპარტიო ქალთა ფართო კონფერენცია არის მოწვეული. აი გამოჩნდნენ სამკერვალო სახელოსნოს და ადელხანოვის ქარხნის მუშა ქალები ქართული თავსახურავებით. აგერ არიან „მირ"-ის თამბაქოს ქარხნის მუშა ქალებიც მოვიდნენ აგრეთვე საქსოვი ფაბრიკის მუშა ქალები; ერთი სიტყვით ძალიან ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი—200 მუშა ქალზე მეტი. მსჯელობენ, ბაასობენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ.

კონფერენციას ხსნის ამხ. ესაიანი, რომელიც სთხოვს დამსწრეთ იმღერონ ინტერნაციონალი. ირჩევენ კონფერენციის პრეზიდიუმსა და მდივნებს: ამხ. გრიგორიანს, გარგალაჯევს კილიანსკაიას და შახნაზაროვს.

საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებენ ამხ. ვარდაპეტიანი რუსულ ენაზე, ხოლო ამხ. ფირალოვი კი ქართულ ენაზე. მოხსენებები დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი, რის შემდეგაც მომხსენებლებს მისცეს შემდეგი შეკითხვები: 1) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა აღიარეს თუ არა, რომ ისინი რუსეთის მოვალენი არიან, თუ ისინი მხოლოდ ჩვენს ვალებზე ლაპარაკობენ, ხოლო თავისი ვალების შესახებ კი კრინტსაც არა სძრავენ? 2. მართალია თუ არა, რომ კონფერენციაზე წამოყენებულ იქნა წინადადება საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანის შესახებ, თუ ეს მენშევიკების ჩვეულებრივი ჭორია? და 3. მართალია თუ არა რომ ჩვენ აგვიკრძალეს პროპაგანდის წარმოება როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში? ამ შეკითხვებზე ამხ. მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცეს, რის შემდეგაც ერთხმათ და ტაშის ცემით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა ამხ. ვარდაპეტიანის და ამხ. ფირალოვის მოხსენებანი საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მე-3 და მე-5 რაიონების უპარტიო ქალთა 1 ფართო კონფერენცია აღნიშნავს, რომ დღეს-დღეობით საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობა ბევრად უფრო მტკიცეა, ვინემ ეს აქამდის იყო, რომ ჩვენი პროლეტარული დიპლომატიის ბრძნული პოლიტიკის წყალობით, რომელიც ყოველდღიურათ საუცხოვოდ იჭერს გამოცდას და იმარჯვებს დიპლომატიურ ფრონტზე, საბჭოთა მთავრობა არღვევს და შლის ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მწკრივს, თავს უყრის ერთ წრეში მუშათა ფართო წრეებს, რომ მუშათა მთლიანი ფრონტით შეუტიოს უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში, რათა დაამხოს კაპიტალის უღელი და დააწესოს მსოფლიოში საბჭოთა ხელის უფლება, რომელსაც მიყავს კაცობრიობა კომუნიზმის სამეფოში. კონფერენცია მოღალატის სახელით ნათლავს მშრომელთა ინტერესების წინააღმდეგ გახრწნილ მოქმედებას მენშევიკებისას, დაშნაკებისას და მუსავატელებისას და ყველას გასაგონად აცხადებს, რომ იმპერიალისტების ამ მახინჯი სახის მატარებელნი არ შეიძლება იყვნენ მუშათა და გლეხთა წარმომადგენელნი. ჩვენ მუშა ქალები მხურვალედ ვესალმებით ჩვენ დელეგაციას და იმ ბრძნულ მოქმედებას, რომელსაც ის აწარმოებდა და აწარმოებს მომავალშიც. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არ არის შორს ის დღე, როდესაც ჩვენი დელეგაცია გენუიდან შეგვატყობინებს თავის ახალ და ახალ გამარჯვებას. გაუმარჯოს საბჭოთა ფედერაციას; გაუმარჯოს წითელ დიპლომატიას გენუაში მყოფ საბჭოთა დელეგაციის სახით. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს.

თუმცა მსმენელები მოიქანცნენ, მაგრამ მაინც ძალიან ყურადღებით ისმენენ ინფორმაციული ხასიათის მოხსენებებს ამიერკავკასიის უპარტიო მუშა ქალთა კონფერენციის შესახებ, რომელიც გააკეთა ამხ. ალექსანდროვამ რუსულ ენაზე, ხოლო ამხ. ესაიანმა სომხურ ენაზე. მომხსენებლები განსაკუთრებით შეეხენ ამ ყრილობის მნიშვნელობას, როგორც ისეთი პირველი ყრილობისა, რომელმაც უნდა გააერთიანოს საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის, დაღესტანის და ყაბარდის მუშა ქალები. აღნიშნავს, რომ სწორედ ამ რესპუბლიკების მუშა ქალებს აქვთ დაკისრებული დიადი მოვალეობა მუშა ქალთა განთავისუფლებისა აღმოსავლეთში. მოხსენებების შემდეგ ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი დელეგატები: ამხ. ამხ. გრიგორიანი, გარგალადჟოვი, კაციტაძე, გეროგოფერი, პალენიცინა, მგელაძე, ალაჯანოვი, ალექსანდროვი, დუმბაძე და მაჰმადიანთაგან ამხ. ალახვერდოვი. ერთხმად მხურვალე ტაშის ცემით არჩეულ იქმნენ საპატიო წარმომადგენლებათ ამხ. სტალინი, მიხა ცხაკაია და ლილინა. კონფერენცია დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

4 რაიონი.

სამშაბათს 16 მაისს, პროფ.კავშირთა დიდ დარბაზში, გაიმართა ქალ. თბილისის მე 4 რაიონის საბჭოთა დაწესებულების მუშა-ქალთა და მშრომელთა საერთო კრება. დარბაზი გაჭედილი იყო. კრებას 400 მეტი მსმენელი დაესწრო. აქ იყვნენ ფაბრიკის მუშა-ქალები და საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურეთა დაბალი პერსონალი, რომელთა შორისაც მე-4 რაიკომი უკვე დიდი ხანია აწარმოებს მუშაობას. კრებას დაესწრენ ისეთ დაწესებულებათა წარმომადგენლებიც, სადაც ცოტაა მუშა ქალთა რიცხვი, მაგრამ სადაც ბევრი ინტელიგენტები ან ნახევრად ინტელიგენტები არიან, როგორც მაგალითად სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ალმასკომი განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილებში, სახალხო კავშირში, კავკასიის განსაკუთრებული არმიის შტაბის სამხედრო ორგანიზაციებში, სადაც ამდენხანს მუშა ქალ ინტელიგენტების შორის არ სწარმოებდა მუშაობა; მხოლოდ რამოდენიმე დღეა, რაც დაიწყო ამ ორგანიზაციებში „იაჩეიკები"-ს მოწყობა და მათ შორის კავშირის გაბმა. საერთო კრების დღის წესრიგი შემდეგი იყო: 1) მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ 2) მოხსენება ქალთა განყოფილების მიზნებისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით. 3) ინფორმაცია ამიერ-კავკასიის უპარტიო ქალთა კონფერენციის მუშაობის შესახებ და ამ ყრილობისათვის დელეგატების არჩევა. დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი მოხსენებები საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობისა და ქალთა განყოფილების შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით, და აგრეთვე მომავალ მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. ტერტეროვმა რუსულ ენაზე. ეს მოხსენება ძალიან საფუძვლიანი და მასთან პოპულიარული იყო. მუშა ქალები მოხსენებელს დიდის ყურადღებით უსმენ და, რომლებიც მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. იგივე მოხსენება ქართულ ენაზე გააკეთა საქ. რევკომის მოსამსახურე ამხ. მატიტაიშვილმა. მან მუშა ქალთა უბრალო და გასაგებ ენაზე განმარტა ის, თუ ვინ დაიწყო იმპერიალისტური და სამოქალაქო ომები, თუ როგორც დარაზმულად მოქმედებდა ბურჟუაზია, რა შედეგები მოყვა ამ ომებს, და რამ აიძულათ მოეწვიათ გენუის კონფერენცია, რა საკითხები უნდა გადასწყვიტოს ამ კონფერენციამ და თუ როგორი იქნება მომავალი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. მომხსენებელმა მხურვალე მოწოდებით დაამთავრა: „ყველა მუშა ქალები მჭიდროთ უნდა დავირაზმოთ მთლიან მუშურ ოჯახში და განვაგრძოთ ორგანიზაციული ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ".

მოხსენება ქალთა განყოფილების მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით, გააკეთა ამხ. ვარდანიანმა. მოხსენება წაკითხულ იქნა მდაბიო ენაზე, რომლითაც ყველა საკითხი ყოველმხრივ იქნა გაშუქებული. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ქალთა განყოფილების მიზნებსა და ამოცანებს და აღნიშნა ის ზომები, რომელსაც ქალთა განყოფილება იღებს უმუშევრობისა და სიმშილობის წინააღმდეგ. იგი აგრეთვე შეეხო იმას, თუ როგორ უნდა შეხვდნენ მუშა ქალები ცხოვრების ყოველგვარ მოვლენას, და როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ პროფ-ორგანიზაციების მუშაობაში და საბჭოთა აღმშენებლობაში. ეს მოხსენება ქართულად გადათარგმნა ამხ. იოსელიანმა.

ორივე ამ მოხსენების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ტერტეროვისა „საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ" და ამხ. ვარდანიანისა „ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით ქალთა განყოფილების მიზნებისა და ამოცანების შესახებ", ქალაქ თბილისის მე-4 რაიონის მუშა ქალთა საერთო კრება აღნიშნავს სიმტკიცესა და პირდაპირობას გენუაში საბჭოთა დელეგაციის საერთო პოლიტიკური და ეკონომიური ხაზისას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას იმისას, რომ მიუხედავათ გენუის კონფერენციის ნაყოფიერებისა თუ მისი მარცხისა, მსოფლიო სოციალური რევოლიუცია გამარჯვებით დამთავრდება მთელ დასავლეთ ევროპაში და გააერთიანებს წითელ რიგებში დღემდის დაჩაგრულ მუშებისა და მუშა ქალების რამოდენიმე მილიონიან რაზმს. მე-4 რაიონის მუშა ქალთა საერთო კრება აღნიშნავს. რა მუშა ქალების საერთო დაურაზმველობას და ჩამორჩენას, იგი იწონებს ქალთა განყოფილების მოქმედების საერთო ხაზს, სთვლის მას აუცილებელ საჭიროდ და ამიტომ სავალდებულოთ სთვლის მიიღოს აქტიური მონაწილეობა ქალთა განყოფილების ყოველგვარ მუშაობაში, განამტკიცოს კლასიური შეგნება მუშა ქალებში, რათა ისინი ჩაებან პროფესიონალურ მოძრაობაში და საბჭოთა რესპუბლიკების განადგურებულ სახალხო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ მოხდა დელეგატების არჩევნები ამიერკავკასიის უპარტიო ქალთა ყრილობაზე გასაგზავნად.

ამორჩეულ იქნენ შემდეგი მუშა ქალები: საფაროვის ფაბრიკიდან — კლეცკოვა, ბოზარჯიანცის ფაბრიკიდან—მაიშკო, საქ. რევკომიდან—მატიტაშვილი, საქ. განსაკ კომისიიდან —როიალოვა. საპატიო სტუმრებად არჩეულ იქნენ, ტროცკი, ზინოვიევი, ორახელაშვილი, ოკუჯავა, კოლონტაი, წულუკიძე და ვარდანიანი.

მე 4 რაიონის ინსტრუქტორი მინასიანი.

წარმოებაში პროფკავშირებში

ბორჯომი.

2 მაისიდან დაიწყო ბორჯომში პროფკავშირთა ორკვირეულის ჩატარება. სანამ კრებას შეუდგებოდნენ სხვადასხვა წარმოებებში და საბჭოთა დაწესებულებებში, მანამ ადგილობრივი პროფესიონალური კავშირის მიერ იქნა გამოცხადებული მობილიზაცია პასუხისმგებელ ამხანაგებისა.

კამპანიის ჩატარების შესახებ ახსნა-განმარტება მისცა ამხანაგებს ცენტრიდან ჩამოსულმა ამხ. ზისკინდმა. იქნა შემუშავებული გეგმის მიხედვით განაწილებული ამხანაგები წარმოებებსა და საბჭოთა დაწესებულებებში. უკანასკნელთ დაევალათ ფართე კრებების მოწვევა და მოხსენებების გაკეთება. პროფესიონალური კავშირის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ.

რამდენიმე დღის განმავლობაში, ბორჯომის რაიონში ფართედ ჩატარდა კამპანია. მივლინებული ამხანაგები უხსნიდნენ დამსწრეთ მნიშვნელობას პროფესიონალური კავშირების ახალი ამოცანებისა: კოლექტიურ ხელშეკრულებებს, თავისუფალ წევრობას და სხვა. ახსნა განმარტების შემდეგ ამხანაგები რჩებოდენ დიდათ კმაყოფილნი და გამოქონდათ შესაფერი რეზოლიუციები.

10 მაისს შესდგა სამოქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 67 დელეგატი.

კონფერენციას ანგარიში წარუდგინა კავშირის მუშაობის შესახებ ამხ. კრავცოვმა. კავშირის ახალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ზისკინდმა, აგრეთვე მოხსენება იყო ადგილობრივი მამულის სამმართველოს გამგისა, მამულის მდგომარეობის შესახებ.

აღსანიშნავია ის, რომ ამხანაგები გულდასმით უსმენდნენ ყოველ მომხსენებლებს, რის შემდეგაც იყო შეკითხვები და სიტყვები წარმოთქმული.

ამხ. მუშებს კარგათ ესმით მათი მუშური ორგანიზაციის მნიშვნელობა და ერთსულოვნად ირაზმებიან მის გარშემო.

ანდრო ციხისუბნელი

1 მაისის დღესასწაული პროვინციაში

სოფ. მეჯვრისხევი.

(გორის მაზრა)

მეჯვრისხევში 1 მაისის დღემ ბრწყინვალეთ ჩაიარა. უქმობდნენ ყველა თემის სოფლები. სოფ. მეჯვრისხევში გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 500-მდე კაცი. მიტინგზე მოხსენება გააკეთა რაიკომის პას. მგ. მდ. ბ. შახნაზაროვმა, რომელმაც მდაბიოთ განუმარტა დამსწრეთ 1-ლ მაისის დღის მნიშვნელობა. მიტინგმა გულმოდგინეთ მოისმინა მოხსენება ამხანაგისა და გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია.

ჩვენ სოფ. მეჯვრისხევის თემში მცხოვრებნი რიცხვით 500 მდე, მოვისმინეთ რა 1-ლი მაისის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება, ვუსურვებთ ყველა ქვეყნის მუშებს და გლეხებს გამარჯვებას და თავის დახწევას ბურჟუაზიულ კლასის ბჭყალებიდან, მე-3-მე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და ყველა სოც. საბჭ. რესპუბლიკებს, რომელნიც უყრიან მკვიდრ საძირკველს შრომის განთავისუფლების საქმეს. გაუმარჯოს პირველ მაისს, როგორც მსოფლიო მუშების სოლიდარობის დღეს. გაუმარჯოს ჩვენს ბელადებს ფ. მახარაძეს და მ. ცხაკაიას და სხვებს. გაუმარჯოს მშრომელთა ძალა-უფლებას ყველა ქვეყნებში. გაუმარჯოს ყველა ქვეყნების კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს მე-3-მე ინტერნაციონალს. მიტინგი დაიწყო საათის 11-ზედ და დაიშალა საათის ორზედ. მიტინგს თავმჯდომარეობდა ამხ. მ. ურუგაშვილი. უმთავრესი ქუჩა შემკობილი იყო ბაირაღებით გირლიანდებით და საერთოდ სოფელს მთელი დღე ჰქონდა საზეიმო სახე. ყველა აღფრთოვანებით შეხვდნენ დღესასწაულს.

ბ. შ ხნაზაროვი.

პროვინციაში

ხრიალეთის თემი.

(ოზურგეთის მაზრა).

გურია ეს კულტურულად დაწინაურებული კუთხეა ჩვენი ქვეყნისა, მაგრამ აქაც აქვს ადგილი სხვა და სხვა ცრუმორწმუნეობას, რომელთან გვმართებს ბრძოლა.

ამის საილუსტრაციოდ გადმოგცემთ ერთ შემთხვევას.

ვინმე ნ. მჟავია წაჩხუბებია რაღაც მეზობლური უთანხმოების გამო მოქ. ქ. ჰაკნელიძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ უკანასკნელს გადაუცია მჟავია მთავარ ანგელოზის ხატზე და ღმერთს შევედრებია მოქ. მჟავია თავისი პირით „აყვირის" და „აძახოს" ჩადენილ დანაშაულობის გამო.

დანაშაულობა ყოფილა შემდეგი: მოქ. მჟავიას საქონელს შეუჭამია ჰაკნელიძის ყანა და მისჯილი გადასახადი არ მიუცია უკანასკნელისადმი. დამატებით ამისა ჰაკნელიძეს უკისრია შუამავლობა ვინმე გოგოძესთან მჟავიასადმი ქალის მისათხოვად რაც დადებითად დამთავრებულა და სათანადო ჯილდო არ მიუღია მჟავიასაგან. და კიდევ რაღაც ასეთი წვრილმანი. მოქ. მჟავიას გაუგია, რომ ჰაკნელიძემ ის გადასცა მთავარ ანგელოზის ხატზე, რასაც ის როგორც მორწმუნე ძალიან შეუშინებია, შეუთვლია მოვრიგდეთო, მაგრამ ჰაკნელიძე არ დათანხმებულა. რამდენიმე ხნის შემდეგ მჟავია გამხდარა ავად და ჩავარდნილა თითქმის სიცხეში, ამ დროს მართლაც დაუწყია „ყვირილი" „ძახილი": „ჰაკნელიძე", „ყანა", „სიმინდი" „ლობიო" „მოვრიგდეთ" და კიდევ სხვა რაღაც სისულელეები. ყველანი შეშინებულან, ამტყდარა ერთი აურ-ზაური ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. გაუგზავნიათ მოციქულები რამდენჯერმე, რათა ჰაკნელიძეს დაელოცა მჟავია, აეხსნა გადაცემა და სიკვდილისაგან დაეხსნა წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი. ჯერ რამდენჯერმე უარი გაუცხადებია, ღმერთის და მთავარ ანგელოზის ხატის შიშით.

მჟავიას სიცხემ უმატა და იმის ნაცვლად, რომ ექიმი მოეყვანათ და ეწამლათ ჰაკნელიძის კარებთან ალამედენ თხოვნით; ჰაკნელიძე ბოლოს დათანხმდა იმ პირობით, თუ ერთი ორათ გადაუხთიდა მჟავია დანაპირებს.

მაშინვე პირობა მისცეს და ჰაკნელიძემ კიდეც შეასრულა დავალება. მან დალოცა მჟავია, რომელიც ამის გაგების შემდეგ სამი დღის განმავლობაში გამოკეთდა შინაური წამლობით. ამ ფაქტმა ადგილობრივად დიდი გავლენა მოახდინა მცხოვრებლებზე, და დასტოვა ისეთი წარმოდგენა, თითქო მართლაც ჰაკნელიძის გადაცემას გაეხადოს ავად მჟავია და მისივე დალოცვას გადაერჩინოს სიკვდილისაგან.

როცა სოფლად ასეთ ფაქტს აქვს ალაგი, იქ საჭიროა დიდი მუშაობა, რომ დაუმტკიცოთ ხალხს, რომ აქ მიზეზი სულ სხვაა.

ცხადია, რომ აქ ალაგი აქვს თვით შთაგონებას, რაც გამოწვეულია სარწმუნოებითი გრძნობით.

რაც შეეხება მოკეთებას, ესეც, რა თქმა უნდა, მოხდა ყოველგვარ დალოცვის, ღმერთის და მთავარ ანგელოზის დამოუკიდებლად. ერთი სიტყვით აი როცა ასეთ ცრუმორწმუნეობას აქვს ადგილი, ჩვენ გვმართებს დიდი მუშაობის გაწევა, რასაც დღევანდლამდე ნაკლები ყურადღება ექცევა.

ვ. დონაძე.

სარედაქციო კოლეგია.

---

26 მაისს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში შესდგება საკავშირთაშორისო, ქალაქის დელეგატთა კონფერენციის

საზეიმო სხდომა

კავშირთა ცენტრალურ გამგეობების და ფაბრიკა ქარხნების კომიტეტთა წარმომადგენლების თანადასწრებით.

დღიური წესრიგი: ერთიანი მუშათა ფრონტი გენუის კონფერენციასა და საერთაშორისო პროფმოძრაობასთან დაკავშირებით (მომხსენებელია ამხ. ქავთარაძე).

საკონცერტო განყოფილება.

კავშირთა ყველა ცენტრალურმა გამგეობებმა უნდა მიიღონ ზომები ყველა წარმოებების და ფაბრიკა ქარხნების დელეგატების კრებაზე თავის დროზე გამოცხადებისათვის.

საქ. პროფ. კავშ საბჭოს მდივანი ჯუღელი.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გრძელდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის. ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანებენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

ტეხნიკუმის მასწავლებელი.

(ყოფ. გიმნაზიის გამგე და დამაარსებელი).

ივ. მარკ. მაჩაიძე. ადგენს საზაფხულო მოსამზადებელ ჯგუფებს მე-I 5) II 6) III 7) IV 8) კლ. შესასვლელად და მოწმობაზე. პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. № 25 | 5. მიიღება 9—1 ს. 3—5 ს.

(1—1)

ქალაქის აღმასკომის სავაჭრო ბინების განყოფილება.

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ შაბათს 27 მაისს დღ 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემო ჩ მოთვლილ სავაჭრო ბინების იჯარით გასაცემათ.

1.	საბურთალოზე	სავაჭრო	ბინა	№ 9	ყოფილი	ადამიშვილის.
2.	„	„	„	№ 15	„	გაზელიშვილის.
3.	„	„	„	№ 17	„	ჩიკვაიძის.
4.	„	„	„	№ 18	„	ყიფიანის.
5.	სამხედრო	გზაზე	„	№ 32	„	დეკანოზიშვილის.
6.	„	„	„	№ 37	„	შოთინაშვილის.
7.	„	„	„	№ 38	„	შოთინაშვილის.
8.	„	„	„	№ 39	„	სარქისიანცი.
9.	„	„	„	№ 40	„	ნატენაძე.
10.	„	„	„	№ 43	„	ბაქრაძის.
11.	„	„	„	№ 52	„	ხაზინაშვილის.
12.	„	„	„	№ 53	„	„
13.	„	„	„	№ 55	„	ბუზილაძის.
14.	„	„	„	№ 57	„	მარნაშვილის.
15.	„	„	„	№ 60	„	არაქელოვის.
16.	„	„	„	№ 65	„	არჩვაძის.
17.	„	„	„	№ 70	„	ლებანიძის.
18.	„	„	„	№ 71	„	ავთანდილოვის.
19.	„	„	„	№ 72	„	პერალოვის.
20.	„	„	„	№ 73	„	მამულაშვილის.
21.	„	„	„	№ 76	„	ქავთარაძის.
22.	„	„	„	№ 85	„	მიკირტუმოვის.
23.	ოლღას	ქუჩა	„	№ 54—278		ალიხანოვის.
24.	„	„	„	№ 60—285		„
25.	„	„	„	№ 81		„
26.	„	„	„	№ 79		„
27.	ბელინსკი	ქუჩა	„	№ 1	ყოფილი	ზარიძის.
28.	ოლღას	ქუჩა	„	№ 62		
28.	„	„	„	№ 74.		

(2—1)

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ დიდი მომგებიანი

ლატარია

თქვენი ბედის ცდით დაეხმარეთ მშიერ მოძმეთ

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ ფინანსთა სახალხო კომისარიატი მართავს დიდ მომგებიან ლატარიას.

ლატარიის დებულება და ბილეთების შეძენის პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ კვირას,25 მაისს, დილით 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფ. სასწორების მდებარე თაორის, მალაკნის და ნუნუფაროვის მოედნებზე ცალ ცალკე.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს მე-11 ოთახში—10 საათიდან 2-მდე. საიჯარო მაგიდის გამგესთან.

(2—2)

დაიკარგა

პირადობის მოწმობა № 2039. და მატრიკული (სალექციო წიგნაკი) ილია ბესარიონის ძე ფილავასი ვაცხადებ გაუქმებულად.

(1—1)

განცხადება

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ დომნა ნიკოლოზის ასულ არტომონოვს უფლების წარ'ადგენათ გარდაცვალებულ 3 ივლისს 1921 წ. ქონებაზე.

სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

(1—1)

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში ისრაილ რუბენ ოგან ოგლი რაიტუბს პასუხის მისაცემათ განცხადების დაბეჭდის დღიდან ორ თვის განმავლობაში საჩივარზე ლეა შეველოვის ასულ გოფმანოვიჩის ას თათრულ ლირის დაბრუნების შესახებ (საჩივრის ღირებულება 17.000.000 მანეთი) და აფრთხილებს მას რომ თუ ის არ გამოცხადდა აღნიშნულ დროზე საქმე გაირჩევა და გამოტანილი იქნება დაუსწრებელი დადგენილება.

სახალხო მოსამართლე **მარ. ჩხეიძე.**

(1—1)

ქ. თბილისის 1-ლ უბნის სახალხო მოსამართლე

ამით აცხადებს, რომ 1922 წ. მაისის 27-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის სოლომონ დავითის ძე კუსიაშვილის ანდერძის წერილი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარ. სტახოვის მიერ 21 თებერვალს 1909 წ., შეტანილი მის ნოტარ სტახოვის 1909 წ. აქტის წიგნის პირველ ნაწილში გვერდი № 64 № 81.

სახალხო მოსამართლე **ა. ჩაჩავა.**

(1—1)

ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულისა ეკატერინე ევგორის ასული არგუთინსკი დოლგორუკოვის, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდგან ამა გამოცხადებისა.

სახალხო მოსამართლე **დ. იაგორაშვილი.**

(1—1)

ქ. თბილისის მე-3 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს, გარდაცვალებულის სურათა გიორგის ასული ხვედელიანისა, რომელთაც ნება აქვთ განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის განმავლობაში დღიდგან ამ გამოცხადებისა.

სახალხო მოსამართლე **დ. იაგორაშვილი.**

(1—1)

ქ. ტფილისის 6 რაიონის სახ. მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ავეტიქ ხითარის ძე ხითაროვის დანაშთ ქონებაზედ ორი თვის განმავლობაში დღიდან გამოქვეყნებისა.

სახალ. მოსამართლე (ხელს აწერს).

(1—1)